645
1989/2

სპორტული ქალი

6
1989
ISSN 0021-1900

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი **მარიკა ბარათაშვილი**	Главный редактор **МАРИКА БАРАТАШВИЛИ**

სარედაქციო კოლეგია:

ნელი გუგუნიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ძვანია, ციცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეფიერული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

ბარეკეთნის პირველ და მეოთხე გვერდებზე — დავით იაკობაშვილის და ზურაბ დათუაშვილის ფოტოეტიუდები.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზ

26 აპრილს გაიმართა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედკოლეგიისა და რესპუბლიკის ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა.

იგი გახსნა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორმა მარიკა ბარათაშვილმა. მან ილაპარაკა იმ მძიმე და დაძაბულ ვითარებაზე, რომელშიც აღმოჩნდა თბილისი და მთელი რესპუბლიკა 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით.

ინფორმაციით 9 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი ტრაგედიის მიზეზების გამოკვლევის მიმდინარეობის შესახებ გააცეთა საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის საექიმო-საექსპერტო ჯგუფის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ნინო ჯავახიშვილმა. სიტყვებში გამოვიდნენ: საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტები თ. დეკანოსიძე, ე. ქემერტელიძე, აკადემიკოსი ქ. ლომთათიძე, შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ჯაფარიძე, პროფესორები: ე. გუგუშვილი, ნ. შალუტაშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ნ. უზნაძე. თბილისის 26-ე კომისრების რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე მ. გოჩალეიშვილი, პირველი სკოლის დირექტორი ლ. შეწირული, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე მ. მგელაძე.

სიტყვებით გამოსულებმა, გარდა იმისა, რომ უდიდესი აღშფოთება გამოთქვეს მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, წამოაყენეს თავიანთი აზრები და კონკრეტული წინადადებები საქმის გამოკვლევაში ქალების მონაწილეობის გააქტიურების შესახებ. ასევე აღინიშნა, რომ ბევრმა რაიონმა და განსაკუთრებით

ივარი

ნინო ჯავახიშვილი

ნინო უზნაძე

თამარ დეკანოსიძე

ეთერ ქემერტელიძე

ლია შეწირული

ვერა ყაშაკიძე

ქ. თბილისის რაიონების ქალთა საბჭოებმა დიდი დახმარება გაუწიეს დაზარალებულთა ოჯახებს მატერიალური თუ მორალური თვალსაზრისით, რაც შემდგომ უნდა გაგრძელდეს.

მიეცა რჩევა რესპუბლიკის ქალთა საბჭოებს, განსაკუთრებით იმ რაიონებისას, სადაც ცხოვრობენ დაზარალებულთა ოჯახები, იქონონ მათთან სისტემატური კავშირი და ყოველმხრივ დაეხმარონ დამწუხრებულ ახლობლებს საპენსიო, საბინაო თუ სხვა საკითხების მოგვარებაში.

ეურნალ „საქართველოს ქალის“ რედკოლეგიისა და ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საბჭოთა ქალების კომიტეტისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოებისადმი, რომლის ტექსტიც ქვემოთ ქვეყნდება.

სხდომის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო აბარაში მომხდარი სტიქიური უბედურება. ამის შესახებ სხდომას მოახსენა საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზინაიდა კვაჭაძემ. გადაწყდა ხაქალაქო და რაიონულმა ქალთა საბჭოებმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ დაზარალებულ რაიონებს.

სხდომაზე მოსმენილ იქნა საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის“ ქალთა საბჭოსა და ადმინისტრაციის ერთობლივი მუშაობის დადებითი გამოცდილების შესახებ ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების საქმეში.

სხდომაზე დადგინდა რესპუბლიკის ქალთა საბჭოში სექციების შექმნის მიზანშეწონილობა.

ეურნალ „საქართველოს ქალის“ რედკოლეგიისა და საქართველოს ქალთა საბჭოს წევრებმა განიხილეს თავიანთი პერსპექტიული სამუშაო გეგმები.

19052

ს.ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. ბიბლ.
ბ ბ ლ ო თ ე კ ა



ეთერ გუგუშვილი

მადონა მგელაძე

ლია ლომიძე

ნადეჟდა შალუტაშვილი

ია მუხრანელი

ზაირა მაკავარიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კრებულებულ, საბჭოთა ქალების კომიტეტს, წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოებას, 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენათა გამოძიებლებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დროებით კომისიას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს

ქალთა რესპუბლიკური საბჭო, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია ბავშვთა და ქალთა ორგანიზაციების, რესპუბლიკის ყველა ქალის, დედის სახელით მოგმართავთ მოწოდებით — მხარი დაუჭიროთ ჩვენს პროტესტს, მიიღოთ მონაწილეობა თბილისში სისხლიანი ტრაგედიის ინიციატორებისა და ორგანიზატორების კონკრეტული ბრალეულობის გამოძიებაში, დაეხმაროთ დაზარალებულთ.

9 აპრილის დრამატული ღამის მოვლენებმა წარუშლელი ფიზიკური და სულიერი დარტყმა მიაყენეს ქართველ ხალხს, განსაკირობეს უდანაშაულო ადამიანების — ქალებისა და მოზარდების დაღუპვა, ბავშვების, ახალგაზრდობის მასობრივი მოწამვლა. დაღუპულთა შორის ყველაზე უფროსი 70 წლისაა, უმცროსი — 15 წლისა. 20 დაღუპულს შორის არის ფეხმძიმე ქალიც. ანგარიშსწორების ამ სასტიკი აქციის განხორციელების შედეგად დაზარალდა არა მარტო ასობით ადამიანი, არამედ ზურგში დარტყმა მიაყენეს გარდაქმნას, საჯაროობას, დემოკრატიზაციას, შეილახა ადამიანის უფლებები, ფეხქვეშ გაითელა სამართლიანობა.

ჯარებმა არასანქციონირებული მიტინგის დაშლის საბაბით 9 აპრილს გამთენიისას სრულიად გაუფრთხილებლად დაარბიეს მშვიდობიანი ადამიანები, გამოიყენეს ცივილზებულ საზოგადოებაში დიდი ხნის წინათ უარყოფილი მეთოდები, მესანგრეთა ნიჩბები, ხელკეტები, ქიმიური ნივთიერებანი.

რესპუბლიკის პრესაში უკვე გამოქვეყნებულ საზოგადოებრივი სამედიცინო-საექსპერტო კომისიის დასკვნაში, რომელშიც ცნობილ ქართველ მეცნიერებთან ერთად შედიოდნენ წამყვანი მოსკოველი და ლენინგრადელი სპეციალისტი-ტოქსიკოლოგები ნათქვამია: „ექსპერტ-ტოქსიკოლოგების დასკვნის, აგრეთვე სტაციონარულ მკურნალობაში მყოფებსა და იმ პირებზე ექიმ-კლინიცისტების დაკვირვების საფუძველზე, რომლებმაც ამბულატორიული დახმარება მიიღეს თბილისის ტოქსიკოლოგიურ ცენტრში, 600-ზე მეტ კაცს შორის არიან მძიმედ დაშავებულები, სრულიად გარკვევით გვინდა განვაცხადოთ, რომ 1989 წლის 9 აპრილს, მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევისას ცრემლსადენ გაზებთან ერთად გამოიყენეს ქოლინოლიზური ხასიათის ცენტრალური ნერვული ზემოქმედების მომწამვლელი ნივთიერებები. ასეთ ნივთიერებათა გამოყენებამ, განსაკუთრებით ჰაერი კონცენტრაციით, მათი ზემოქმედების ხელშემწყობ პირობებში შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი, ძირითადად კი ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემების მძიმე გართულებები. მიგვაჩნია, რომ მშვიდობიანი დემონსტრაციების ან მიტინგების მონაწილეთა წინააღმდეგ ნებისმიერი ქიმიური მომწამვლელი ნივთიერების გამოყენება დაუშვებელი და არაადამიანურია. განსაკუთრებულ აღფოთებასა და დიდ წუხილს იწვევს არაადამიანურობის კიდევ ერთი გამოვლინება — ის, რომ საჯარისო ნაწილების წარმომადგენლებს არ სურთ ჩვენს მედიკოსებს მიაწოდონ სრული ინფორმაცია გამოყენებულ მომწამვლელ ნივთიერებებზე, რომ ვუმკურნალოთ დაზარალებულთ. ამის შედეგად დღემდე

იტანჯებიან ბავშვები, ქალები, ხანგრძლივი მოწამვლის კვალი აღმოჩენდა ახობით ადამიანს. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით სადღეისოდ მოწამვლის ნიშნები აღმოჩენდა 1400-ზე მეტ კაცს.

სიმართლის მიჩქმალვის, არნახული ანგარიშსწორების კვალის დაფარვის, თბილისის მოვლენების ტენდენციური ინტერპრეტაციის სურვილი დამახასიათებელია არა მარტო სამხედრო, არამედ ჩვენი ქვეყნის ბევრი ცენტრალური გამოცემისა და საინფორმაციო სამსახურისათვის, გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ გარდა.

ქართველ საზოგადოებრიობის აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. ამ გარდაქმნის საწინააღმდეგო ტენდენციის გამო თავიანთ პროტესტს გამოთქვამენ მუშათა კლასის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

ჩვენ, ქალები, დედები მოვითხოვთ თბილისის ტრაგედიის ობიექტურ გამოძიებას, 9 აპრილს განხორციელებული ამ ანტიკონსტიტუციური, სამართალსაწინააღმდეგო ძალადობის სასტიკი აქციის ყველა მონაწილის გამოვლინებასა და დასჯას.

ჩვენ, ქალები გთხოვთ გაგვიწოთ დახმარება საპირო მედიკამენტებითა და კონსულტაციებით დაზარალებულთა უფრო ეფექტიანი მკურნალობისათვის.

ქართველი ხალხი იგლოვებს დაღუპულებს. საქართველოს ისტორიული ჩამოყალიბების მთელ მრავალსაუკუნოვან ტრაგიკულ გზაზე ქალები მუდამ იყვნენ თავისი მიწა-წყლისათვის, სამშობლოსათვის, რწმენისათვის, ეროვნული ღირსებისათვის ბრძოლის მოწინავე ფრონტზე, ბავშვებს ზრდიდნენ მამულის მამაც და ერთგულ შვილებად. დღეს ჩვენი მწუხარება უსაზღვროა, დიდია შეშფოთება ჩვენი ბავშვების მომავლისათვის. ამ დიდ ტკივილს დაემატა მწუხარება მთიან აჭარაში სტიქიური უბედურებისგან გამოწვეული დიდი მსხვერპლის გამო. უდიდესია ჩვენი წუხილი, თუმცა ქართველი ხალხი, ქართველი ქალები არ გატეხილან, ცოცხლობენ სამართლიანობის გამარჯვების იმედით, მომზადარ ტრაგედიაში ყველა დამნაშავის გამოვლინების რწმენით.

ნ. ჯაბახიშვილი — საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი, მ. ბარათაშვილი — ეურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი, მწერალი, ზ. კვპაძე — საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ნ. ლაღიძე — საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ე. ანჯაფარიძე — პიანისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ნ. ბალამწარაშვილი — პირველი მაისის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ა. ბარბაქაძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ბუაძე — ეურნალისტი, ლ. ბაბუა — ქალთა საბჭოს წევრი, ს. ბაგრიეული — საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე, ნ. ბაფარიდაშვილი — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში, ნ. ბოგობეგოვიძე — ქალთა საბჭოს წევრი, მ. ბოგრალეიშვილი — 26 კომბინრის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ბუბუნეიძე — ქალთა საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ც. ბუბაკა — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე, ე. ბუბუშვილი—პროფესორი, თ. დეკანოზიძე—საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნ. ვასაძე—ქალთა საბჭოს წევრი, სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვ. ფაფაიძე — პროფესორი, დ. იორდანიშვილი — საქართველოს ტელევიზიის უფროსი რედაქტორი, ლ. კაკაბაძე — ეურნალ „საქართველოს ქალის“ პასუხისმგებელი მდივანი, ა. კალანდაძე — პოეტი, ზ. კვერენჩხილაძე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ნ. კილასონია — პოეტი, თ. ლაშვარაშვილი — ქალთა საბჭოს წევრი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ვ. ლომთათიძე — აკადემიკოსი, ლ. ლომბიძე — ქალთა საბჭოს წევრი, ბ. მაჭავარიანი — ქალთა საბჭოს წევრი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ზ. მაჭავარიანი — ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის პასუხისმგებელი მდივანი, მ. მგელაძე — ქალთა საბჭოს წევრი, ნ. მგელაძე — გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილე, ი. მესხიშვილი — ქალთა საბჭოს წევრი, ი. მუსრანელი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ კორესპონდენტი საქართველოში, ი. ნაცვლიშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, მრავალშვილიანი დედა, ნ. ფაანია — ქ. თბილისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ნ. რამიშვილი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ო. რევია — ეურნალისტი, კ.ლ. სვანიძე — საქარხნო რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ე. სოლომონია — სოციალისტური შრომის გმირი, ც. ტერელაძე — ეურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის წევრი, ნ. უზნაძე — საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, ე. ქუმსიტაშვილიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნ. ფალავანდიძე — დიახანალი, ნ. ფალუბაშვილი — პროფესორი, ბ. შელია — ეურნალ „პიონერის“ რედაქტორი, ლ. შეფირული — თბილისის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი, ლ. ჩოგბოლაშვილი — ქალაქის სახალხო სახალმართლის თავმჯდომარის მოადგილე, ი. ჩოფიკაშვილი — ეურნალ „საქართველოს ქალის“ რედკოლეგიის წევრი, ლ. ფერეიძე — კარბოვის რაიონის ქალთა საბჭოს წევრი, მ. ხარაბიშვილი — ქალთა საბჭოს წევრი, რ. ჯაფარიძე — ქალთა საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ე. ჯაფარიძე — ეურნალ „საქართველოს ქალის“ რედკოლეგიის წევრი.

26 აპრილი, 1989 წ.

თბილისი.

ლენინის 14, ეურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია.

მარიკა ბარათაშვილს.

თქვენი მოგართვის პასუხად გაგაცნობინებთ, რომ საბჭოთა კავშირის ფიფილი ჯვრისა და ფიფილი ნახევართვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის ვენედიქტოვის შეთანხმების შესაბამისად, ეძებენა თბილისში გზავნის ექსპერტებს, რათა შეისწავლონ სპეციალური ქიმიური მოგზავნელი ნივთიერებების შესაძლო გამოუყენების შედეგების საკითხი.

საბჭოთა კავშირის ფიფილი ჯვრისა და ფიფილი ნახევართვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ტიელიანდიენი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს ამხანაგ შოთა გორგოძეს

მივმდინარე წლის 26 აპრილს ეურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში ჯაბარდა ეურნალის სარედაქციო კოლეგიისა და საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს აქტივის შეკრება, თბილისში, მთავრობის სასლის წინ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის თაობაზე.

შეკრებილებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გამოეცხადოს დიდი მადლობა თქვენს მუშაკებს, რომლებმაც იმ ურთულეს პირობებში, დიდი ადამიანური, მაღალპატრიოტული თავგანწირვით დალუპვისაგან იხსნეს, დაგვეის ალაუბი ჩოქაფული ათეულობით ადამიანი.

მ. ბარათაშვილი
ეურნალ „საქართველოს ქალის“
რედაქტორი

ნ. ჯაბახიშვილი
საქართველოს ქალთა რესპუბლიკური
საბჭოს თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფო მგელაძე

საქართველო

თუკი ვინმეს მოესურვა
ძველი წყლული გაგვიმთელოს,
და ამ გრძნობით მოეკლინა
ჩვენს პატარა საქართველოს,
თუ კვლავ სისხლით აღარ
მორწყავს
მის მთა-გორებს, მინდორ-მდელოს,
თუ უხეშად ხელს არ ახლებს
ჩემს სატრფოს და სამლოცველოს,
თუ რომ იგი უკუაქცევს
შემოტანილ ხმალს და ხიშტებს,
თუ სიფლიდეს არ შევწამებ,
თუ მტრულად არ შემოგვიტევს,
თუ ვიხილავ ქართულ დროშას,
თუ მოვისმენ კვლავ დიდებას
და ადგილი არ ექნება
აქ პირადულ განდიდებას,
თუკი იგი მშრომელ მუშას
რასაც ამბობს, იმას მისცემს.
და ამავ დროს ქართველობას
შეურცხვენლად დაამტკიცებს.
თუ დაიცავს ეროვნულ სულს
ბრძოლის ცეცხლში
გამოვლებულს,
არ ვიხილავ ჩემს სამშობლოს
გოლგოთაზე ჯვარცმულს,
ვნებულს, —
მაშინ, მაშინ მეც მათთან ვარ,
წინ ვერ გამისწრებენ სხვები.
დაჩაგრულთა სამსხვერპლოზე
მე პირველი დავინვები.
მაგრამ ვინმე თავხედურად
თუ ჩვენს საზღვრებს
გადმოლახავს,
ჩემს სამშობლოს დამიმცირებს,
შემიგინებს, შემილახავს,
დამიჩაგრავს, დამიღონებს.
ცრემლს დაადენს უმიზეზოდ
და ჩვენს ლამაზ ბაღ-ნალკოტებს
გადააქცევს მტრების ეზოდ,
ძალადობას გაგვიბედავს,
მანდილს მოხდის ქართველ დედას,
ციხე-კოშკებს შეგვიგინებს,
ჯაჭვ-ბორკილებს გაგვიჭედავს,
მნუხარებას შემოიტანს,
მნუხარებას — შავ ფრთა
გაშლილს.

აატირებს მთაწმინდაზე
ილიას და ბარათაშვილს.
შავს ჩააცმევს ტურფა თამარს,
ძაძით მორთავს სათნო ნინოს,
მაშინ, დაე, ჩვენმა მტერმა
საპასუხო მოისმინოს:
იცოდეს, რომ ვერ დაიპყრობს
ძალით ჩვენს სულს ვერასოდეს,
არ გვსურს, ვაფას ნორჩი ნუკრი
კვლავ სისხლიან ბალახს ძოვდეს.
იცოდეს, რომ ვერც ერთ ჩვენგანს
ის მტრობით ვერ შეიერთებს,
თაყვანს არ ვცემთ არვის კერპებს,
არ ვიწამებთ არვის ღმერთებს.
ჩემი ერი ამაყია
და ის მონა არ გახდება.
თუ აქამდე არ მომკვდარა,
მომავალშიც არ მოკვდება.
მწამს, მსოფლიო ასპარეზზე
ის გაიტანს ზღაპრულ ლელოს
და კვლავ ვნახავთ მკვდრეთით
აღმდგარ,
გამარჯვებულ საქართველოს.

1917 წელი.

ნათელა და თენგიზ მაღნარაძეების ოჯახი

შეხვედრა გმირ დედასთან

დაიზრდებიან, გამრავლდებიან...

ამ ოთხი წლის წინათ

ახალშობილთა პალატა! ნოემბრის მზის სხივები, ჯერაც სითბოშენარჩუნებულნი, ქათქათა ფარდებიდან იპარებიან ოთახში და საწოლებში ჩათბუნებულ პაწიებს ელაციცებიან... შემთხვევით მოვხვდით გარეშე პირთაგან მკაცრად დაცულ სავანეში და თეთრხალათმოსხმულნი ყურადღებით ვათვალიერებთ ყველა წვრილმანს. თუმცა, შემთხვევით რატომ, აბაშის რაიცენტრალური საავადმყოფოდან დაგვირეკეს და შემოგვთავაზეს მრავალშვილიან დედას გაგაცნობთო!

ახლა კი ვდგავართ ზუსტად ერთნაირად გახვეული და თითქმის ერთმანეთის მსგავსი ვარდისფერლოყებიანი ჩვილების წინ და თავს ვიტეხავთ მასპინძლის — მიკროპედიატრ ზაირა პირტახიას შეკითხვაზე: — თუ გამოიცნობთ, რომელია თქვენი მომავალი წერილის გმირი?... რა თქმა უნდა, ვერ გამოვიცანით, აკი, თეონა — მაღნარაძეთა ოჯახის მეცხრე ქალიშვილი — იმ ასაკში გახლდათ, როცა ჩვილები ტუუბისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს...

ერთ მშვენიერ დღეს

სახალხო დეპუტატთა აბაშის რაიონული საბჭოს აღმასკომის სესიაზე ახალგაზრდა ქალს, ნათელა კუცია-მაღნარაძეს ათი შვილის აღზრდისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საზეიმოდ გადაეცა „გმირი დედის“ მედალი.

მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა ქალს, რომელმაც ათი შვილი შობა, ათ შვილს უმღერა იავნანა, ათი აკვანი დაარწია და... 36 წლისაა!

ოჯახში

აბაშის რაიონის სოფელ ეწერში ცხოვრობენ ნათელა და თენგიზ მაღნარაძეები. მათ ეზოში შესულ კაცს პირველად ახალ ნარგაობათა სიმრავლე მოხვდება თვალში. დილაობით სიწყნარეა მათ საუფლოში. ყველანი თავის საქმეზე არიან გაკრეფილნი: მამა — სამსახურში, ხათუნა — აბაშის № 84 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, მთვარისა, ეკა, მაკა, ინგა, ელზა და ტუუპები — თემური და ნათია — ეწერის არასრულ საშუალო სკოლაში. შინ მხოლოდ დედა და ნაბოლარები: ოთხი წლის თეონა და წლინახევრის თენგო რჩებიან.

ბედმა გამიმართლა: ეწერში ჩასულს ოჯახის ყველა წევრი შინ დამხვდა. ოდის კიბეზე თავმოყრილ გოგო-ბიჭებს თვალი შევავლე და ჩემი ძველი ნაცნობის — თეონას გამოცნობა დავაპირე. ისევ გამიჭირდა!

ჰგვანან და არც ჰგვანან და-ძმები ერთმანეთს. ეს გარეგნობით, თორემ ხასიათით? ათივეს სხვადასხვა, დამოუკიდებელი, გამორჩეული ხასიათი აქვს.

— ყველაზე სერიოზული რომელია?

— მთვარისა!

— ყველაზე საქმიანი?

— ეკა! თუმცა, არც მაკა და ინგა ჩამორჩებიან. ისე კი პატარები სანახევროდ ხათუნას გაზრდილები არიან, — სიყვარულით ახასიათებს თითოეულს მამა. რომ ვკითხე, ყველაზე ცელქი რომელი გყავთ-მეთქი, დედ-მამამ და უფროსმა დებმა ერთხმად დაასახელეს... ელზა!

ეშმაკუნები უხტიან შავ თვალებში ელზას, მაგრამ ისე იმორცხვებს, გიჭირს მშობლების ნათქვამის დაჯერება, არადა, თურმე უველა მეზობელი დაგემოწმებათ, რომ ელზა არათუ დებს, ძმებსაც კი აჭარბებს ონავრობაში.

შრომაც კარგი იციან მაღნარაძეებმა და დასვენებაც; ნადი რად უნდათო, ამბობენ სოფელში, ერთ დღეში იღებენ მათზე გაპიროვნებულ ნახევარ ჰექტარზე სიმინდის მოსავალსო...

დედა

— იცით, რასაც ახლა თქვენ მეკითხებით, ამაზე ხშირად მიფიქრია. ოდესღაც, სადღაც წაკითხული სტრიქონები ამეკვიატება ხოლმე: ბედნიერი ხარ? და მეც ვპასუხობ:— მე ხომ დედა ვარ, რაღა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ.

შევყურებ ნათელას და მიკვირს, უველაფერს როგორ ასწრებს — ეზოკარიც და სახლიც ასე მოკოპწიავებული აქვს, ბავშვებიც ასე მოვლილები ჰყავს, თავადაც მუდამ კოპწიად და ლამაზად გამოიყურება.

— ძალიან ნუ „იცოდებთ“! — მეუბნება თენგიზი და მეუღლეს უღიმის, — რაც ხათუნა და მთვარისა წამოიზარდნენ, მას მერე ქორწილს არ დაჭკლებია და დღეობას, შინ იმედიანად ტოვებს პატარებს...

თენგიზი კაცია და... მეჩვენება, რომ ქალის უჩინარი ტვირთი მსუბუქი ჰგონია. მე დედა ვარ და ზოგჯერ ისე გამჭირვებია, რომ... ნათელას ყოველდღიურობა წამში გავისიგრძეგანე და მართლაც, გმირობის ტოლფასად ვთვლი მის „შემოქმედებას“.

— ნათელა! ახლობლები როგორ აღიქვამენ თქვენს მრავალშვილიანობას?

— რა ვიცი, რატომ უნდა უკვირდეთ. თავად მე ხომ ოჯახის მეცხრე, ნაბოლარა შვილი ვარ!

— თენგიზის მშობლებს რამდენი ჰყავთ?

— მხოლოდ ოთხი!

„მხოლოდ ოთხი!“ თითქოს სინანულით თქვა გმირმა დედამ, ყოველი ოჯახისათვის ნანატრ ოთხ შვილზე...

...გაირბენს წლები, დაიზრდებიან, გამრავლდებიან მაღნარაძეთა გოგობიჭები, ნაყოფსაც მოიხსამს მათი პატარა ხელებით ეზოში დარგული ის პაწწინა ხეები, დღეს რომ ჭიგო უყენიათ...

ციცინო ნანავა,
ბაზეთ „განახლებული ახალი“ რედაქცია

ცნობილ მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს მაყვალა მრევლიშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ ძვირფას მაყვალას — პატარების გულის მესაიდუმლეს, ამაგდარ შემოქმედს მისი დაბადების ამ ხაზეიმო თარიღს და ვუსურვებთ ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს.

მაყვალა მრევლიშვილი

ყველას არგუნებს

ახუნძლული
ვაშლები
ნეტავ საით
გარბიან?
ზურგზე
ვაშლებასხმული
ეს ხომ
დედა-ზღარბია.
ვაშლს უზიდავს
ზღარბუნებს, —
ყველას, ყველას
არგუნებს!

კიკლი-კიკლი

კიკლი,
კიკლი,
კიბესა,
ყურცქვიტების ციხესა
ბაჭიები სკუპიან, —
მელა კბილებს ილესავს:
— სტაფილო მაქვს
ჩანთითო,
აქეთ ჩამობრძანდითო!
— არ ჩამოვალთ, არაო,
მელა მატყუარაო!

ჭუპა-ჭუპა

ჭუპა! ჭუპა!
წყალი — მალე!
თავი უკვე დავიბანე,
უჰ, იმდენი ქაფი დადგა,
შიგ ყელამდე დავიმალე!

თურმე ჩემი თოჯინა
ძლიერ დასაბანია.
დაბანვა რომ არ უყვარს
განა დასამალია?

როგორ მოთხუპნილია,
სად იარა, სად არა!
ბანაობა გაამოს,
ხუქდი, ხუქდი,
პატარავ!

კომპოზიტორი მერი დავითაშვილი

შენ გიგალობ, ჯაჭარავ!

ქართველი პოეტი ქალები ვალში არ არიან კომპოზიტორების წინაშე — არაერთი მათი ლექსი ამშვენდა სიმღერასა თუ რომანსში, კანტატასა და ორატორიაში, ვოკალურ ციკლში... დიახ, ქართველი პოეტების ფრთამალი სტრიქონები ეარგა ბანია შთაგონების წყაროდ იქცა. მათგან განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ მარიჯანი და მაყვალა მრევლიშვილი, მარიკა ბარათაშვილი და ნანი კილასონია, დოდო გვიშიანი და მრავალი სხვა.

მაყვალა მრევლიშვილის ლექსები „დილა მშვიდობისა" და „სათამაშოების სიმღერები" გახდა „მიზეი" რესპუბლიკის სახალხო არტისტის, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატის, კომპოზიტორ მერი დავითაშვილის სახავშვო ვოკალური ციკლების შექმნისა, და საერთოდ, მისი შემდგომი მოღვაწეობისა მუსიკის ამ დარგში. დიახ, სახავშვო მუსიკა მ. დავითაშვილისათვის მდიდარ სულიერ საზრდოდ, ცხოვრების მთავარ მიზნად იქცა. სწორედ ამ ნაწარმოებებმა იმთავითვე მოუპოვა მას ბავშვების საყვარელი კომპოზიტორის სახელი. აი, რას ამბობს ამის თაობაზე თვით მერი დავითაშვილი: „პოეტის სხარტმა ჩანახატებმა მაგრძნობინეს ის უბრალოება და სისადავე, ბუნებრიობა და გამომგონებლობა, რომლითაც ბავშვები აშენებენ თავიანთ მზიანსა და პოეტურ სამყაროს. ამ ლექსებმა მომიტანა პირველი შემოქმედებითი წარმატება სახავშვო მუსიკის სფეროში, რომელიც ჩემთვის ეხოდენ საყვარელი და მახლობელი გახდა".

პირველ წარმატებას მალე სხვებიც მოჰყვა და ახე გრძელდება დღემდე. დღეს მერი დავითაშვილი ახზე მეტი სახავშვო სიმღერის ავტორია, რომელთა ნაწილი პრემირებულია რესპუბლიკურ კონკურსებზე. მასვე ეკუთვნის მრავალი რომანსი და საგუნდო ნაწარმოები, ოპერები „ჯაჯანა" (ნიკო ლომბორის მოთხრობის მიხედვით, ლიბრეტოს ავტორი — რევაზ თაბუკაშვილი), „ნაცარქექია" (ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით, ლიბრეტო — რ. ჭეიშვილისა), საფორტეპიანო პიესები, მუსიკა ნახატი და მხატვრული ფილმებისათვის, თოჯინების, მოზარდ მაყურებელთა და დრამატული თეატრების სპექტაკლებისათვის. რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ: „ჩხიკვთა ქორწილი", „წუნა და წრუწუნა", „მანანა", „დაგვიანებული სახიძო", „ბურატინო", „დიდუურა", „სიკეთის ძალა", „ჩექმებიანი კატა", „აცა-ბაცა" და მრავალი სხვა.

მერი დავითაშვილს დაწერილი აქვს აგრეთვე სიმფონიური სიუიტა „გელათი, უვერტიურა „მშვიდობისათვის", ფანტაზია ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. „პიონერული სიუიტა" (სიმფონიური ორკესტრისათვის), სიუიტა-მინიატურა სახავშვო სიმფონიური ორკესტრისათვის და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მერი დავითაშვილი დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებს ვოკალური ჟანრებისადმი, შექმნილი აქვს სოლო თუ საგუნდო სიმღერები (მოსწავლეთათვისაც სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის და „უფროსებისათვის), ვოკალური ციკლები და კრებულები: „ვიმღეროთ ერთად", „მზას ამოსვლას ვეგებებით", „საახალწლო", „მზემ წითლად ამოანათა", „ანაო, ანა-ბანაო", „თოჯინები მღერიან", „ცხრათვალა მზე და მრავალი სხვა.

ყოველი მათგანი აღბეჭდილია ხალახი ეროვნულობით, მელოდიური კეთილხმოვანებით, ეროვნული კოლორიტით, ხაოცრად შესატყვისი მხატვრული ხახეებით. და მაინც, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მაყვალა მრევლიშვილის ლექსებზე შექმნილი ვოკალური ციკლები „დილა მშვიდობისა" და „სათამაშოების სიმღერები", რომლებზეც არაერთი თაობა აღიზარდა და დღესაც იზრდება. მართლაც, რომელ ჩვენგანს არ უმღერია: „ჩიტო, ჩიტო ნაცარავ, ვის უგალობ, ვისა?.. შენ გიგალობ, ჯაჭარავ, დილა მშვიდობისა!".. ანდა „ხაწყალი კურდღელი", „ბანაობა", „მატარებელი", „ვარკეში", „ხაქანელა" და სხვა. თითოეულ მათგანში მაქსიმალურად გამოვლინდა მერი დავითაშვილისათვის დამახასიათებელი უაქზი, დახვეწილი გემოვნება, უბრალოება და უშუალობა, ემოციურობა, დიდი მელოდიური ნიჭი. აღნიშნული ციკლები ყურადღებას იმსახურებს არა მარტო კომპოზიტორის შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ სახავშვო მუსიკაში.

სიმღერათა პოეტური და მუსიკალური ტექსტი არაჩვეულებრივად უშუალოა, მეტყველი, ნათელი და მისაწვდომი ბავშვებისათვის თავისი უალრესად გასაგები, ემოციური, ეროვნული ენით. კომპოზიციის მოხდენილობა, ფორმის მთლიანობა, თემათა გამოკვეთილობა, ელასტიურობა და გამომსახველობა, მდიდარი ინტონაციური და რიტმული საფუძველი — მათი მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია. სიმღერებში არ ვხვდებით რომელიმე კონკრეტულ ხალხურ ინტონაციებს, კომპოზიტორი განზოგადებული სახით, მაღალოსტატურად იყენებს ხალხურ ჟანრებს, მათთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს. მაგალითად: ხალხურ „ნანას" რწევად რიტმს მიმართავს სიმღერაში „ძილი ნებისა", ხალხურ საცეკვაოს — სიმღერაში „მოვილხინეთ" და ა. შ. ციკლების მუსიკალური დრამატურგია დამყარებულია ტემპების კონტრასტული დაპირისპირების პრინციპზე. სახავშვო და სათამაშო საწყისების (ელემენტების) სინთეზზე.

მაყვალა მრევლიშვილისა და მერი დავითაშვილის ზემოხსენებული ნაწარმოებები ნორჩებს უნერგავს სიკეთის გრძნობას, კაცთმოყვარეობას, ახვავლის მეგობრობას, შრომისმოყვარეობას... ამიტომაც მათ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ და მომავალშიც ამ სიმღერებზე კვლავაც არაერთი თაობა აღიზრდება.

ეთერ ლონდარიძე
მუსიკათმცოდნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად დავასვენოთ ბავშვი?

ზაფხული ძალაში შედის. ყველა ცდილობს ბავშვი გაიყვანოს სუფთა ჰაერზე. განარდოს ქალაქს, სადაც ეკოლოგიური თვალსაზრისით ნორმაზე მაღალია ჰაერის დაბინძურება.

სიცხეში პატარასაც და მოზრდილსაც უჭირს. ამიტომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ზაფხული და ბავშვი დავასვენოთ ისეთ კურორტზე, სადაც ორგანიზმი გაუკაჟდება.

ამ ბოლო დროს დედები ხშირად გვეკითხებიან თუ სად დავასვენოთ ბავშვი, აინტერესებთ, ამ წელიწადს მთაში მზე აქტიური ხომ არ არის, ზღვაზე ბანაობა შეიძლება თუ არა.

ამიტომ რედაქციამ სთხოვა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედიატრიული განყოფილების გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს **ეთერ ტოფაძესა** და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, თბილისის მთავარ პედიატრს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს **ლიუდმილა ლომაიას** ეპასუხათ რამდენიმე კითხვაზე.

ინტერვიუ ქალბატონ ეთერ ტოფაძესთან

— სადღისაოდ თუ არსებობს რაიმე ცნობა, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს ეკოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს კურორტებზე დასვენებას? ეს ეხება როგორც მთის, ისე შავიზღვისპირა კურორტებს.

— **საქართველოს არც ერთ კურორტზე არა გვაქვს ისეთი ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელიც კრძალავდეს სადმე დასვენებას.**

— რა მნიშვნელობა ენიჭება კურორტულ მკურნალობას ბავშვთა საერთო გაჯანსაღებელ კომპლექსში?

— **სუფთა ჰაერი, მზე, ზღვაზე ბანაობა ხელს უწყობს ბავშვის ორგანიზმში ბრძოლისუნარიანობის, შრომისუნარიანობის გაძლიერებას, გაკაჟებას, ნებისყოფის გამომუშავებას.**

პრინციპი — არ დავუშვათ დაავადება, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე დაავადებული ბავშვის მკურნალობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრონიკულად მოავადე ბავშვთა ბუნებრივი ფაქტორებით მკურნალობა. ეს ფორმები მედიკამენტურ მკურნალობას ნაკლებად ემორჩილება და პირიქით, არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ მედიკამენტის ხანგრძლივი მიღება აძლიერებს ორგანიზმის ალერგიულ რეაქციებს.

ასევე ეფექტურია ავადმყოფ ბავშვთა კურორტული მკურნალობა მწვავე დაავადებების გადატანის შემდეგაც.

— საქართველო განთქმულია მდიდარი საკურორტო რესურსებით, დაწყებული აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი, ცხელი ველის ჰავით და დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ნოტიო-სუბტროპიკული კლიმატით, დამთავრებული სხვადასხვა სიმაღლის მთის კურორტებით, — სად გვირჩევთ დავასვენოთ ბავშვი?

— **კურორტულ მკურნალობას მხოლოდ მაშინ შეუძლია მოგვიტანოს სარგებლობა, როცა სწორად გამოვიყენებთ, სხვა შემთხვევაში არა მარტო უშედეგო აღმოჩნდება, არამედ ბავშვის ორგანიზმს ზიანსაც მიაყენებს.**

ჯანმრთელი ბავშვები შეიძლება ყველგან დავასვენოთ, მაგრამ გაკაჟება მათაც სჭირდებათ. დასვენების ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს ერთი თვიდან ორ თვემდე, როგორც მთაში, ისევე ზღვაზე.

რაც შეეხება ავადმყოფ ბავშვებს, სამწუხაროდ, ყველამ არ იცის, როგორია ავადმყოფ ბავშვთა კურორტზე გაგზავნის ჩვენებები და უკუჩვენებები. ამიტომ მშობელმა რჩევა უნდა ჰკითხოს პედიატრს. ავადმყოფი ბავშვის ან მოზარდის სამკურნალოდ კურორტის შერჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზუსტ დიაგნოზს, დაავადების ფაზისა და სტადიის განსაზღვრას, უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკიც.

— რა მნიშვნელობა ენიჭება სეზონურ დასვენებას და ადგილს?

— **ბავშვთა დასვენების მიზნით რესპუბლიკაში ფუნქციონირებს სანატორიუმები, დედათა და ბავშვთა პანსიონატები, ტურისტული ბაზები და პიონერთა ბანაკები.**

სეზონი გარკვეულ გავლენას ახდენს როგორც ჯანმრთელ, ასევე ავადმყოფ ბავშვთა მკურნალობის ეფექტურობაზე. ასე მაგალითად, ზღვის სანაპირო კურორტებზე და წყალტუბოში მკურნალობა უფრო ეფექტურია შემოდგომაზე, ვიდრე ზაფხულში. ძალიან ცხელი და ნოტიო ამინდები, რაც ამ კურორტებისთვის არის დამახასიათებელი, არაკეთილსასურველ გავლენას ახდენს დაავადებულ ბავშვთა ორგანიზმზე.

ავადმყოფ ბავშვთა დასვენებისთვის რესპუბლიკის კურორტებზე ფუნქციონირებს სანატორიუმები, სადაც მკურნალობენ სასუნთქი ორგანოების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების, თირკმელების, ნერვული სისტემის და ტუბერკულოზის დაავადებებით შეპყრობილ ბავშვებს.

სასუნთქი ორგანოებით დაავადებულთა და ჯანმრთელი ბავშვებისთვისაც კარგია სურამი, ცემი, ბაკურიანი, შოვი, კოჯორი, წყენეთი, მანგლისი.

რევმატული და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას რეკომენდებულია ქობულეთი, ურეკი, ლესელიძე.

რევმატიზმით, რევმატოიდული ართრიტით, საყრდენ-სამოძრაო აპარატის ორგანოების დაზიანებით დაავადებულ ბავშვთათვის სანატორიუმები გახსნილია წყალტუბოსა და ახტალაში.

თირკმელების დაავადებების სამკურნალოდ მიზანშეწონილია ველის მშრალი კლიმატი, ასეთია კახეთში არხილოსკალო, სადაც ორგანიზებულია სპეციალიზებული ბავშვთა სანატორიუმი.

საჭმლის მომნელებელი ორგანოების, მათ შორის ღვიძლისა და ნაანდველი გზების დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება სასმელი მინერალური წყალი. ამიტომ ამ ავადმყოფთა კომპლექსური მკურნალობა შესაძლებელია კლიმატობალნე-

ოლოგიურ კურორტებზე ბორჯომში, უწერაში, ჯავაში, საირმეში, სურამში.

ინტერვიუ ქალბატონ ლიუდმილა ლომიასთან

— რას გვირჩევთ, სად დავასვენოთ 3 წლამდე და 3 წელზე მეტი ასაკის ბავშვებს?

— 3 წლის ასაკამდე ბავშვების გაყვანა სხვა კლიმატურ პირობებში რეკომენდებული არ არის. ეს აიხსნება იმით, რომ ადრეული ასაკის ბავშვები ძნელად ეგუებიან სხვა კლიმატურ პირობებს, მათ ორგანიზმში ადაპტაციის, ანუ შეგუების პროცესები დიდხანს გრძელდება.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ივლის-აგვისტოს სიცხიან თვეებში ბავშვები ქალაქში დავტოვოთ. 3 წლამდე ასაკის ბავშვების გაყვანა კარგია საცხოვრებელ ადგილთან ახლომდებარე კურორტებზე, იმ ადგილებში, სადაც ჰაერი უფრო სუფთაა, თბილისში მცხოვრები ადრეული ასაკის ბავშვებისათვის შესანიშნავია წყნეთი, კოჯორი, საგურამო და სხვა.

რაც შეეხება 3 წელზე მეტი ასაკის ბავშვებს, ისინი შეიძლება გავიყვანოთ რომგორც ახლომდებარე, ისე სხვა კურორტებზე. მაგრამ უნდა ვიცოდეთ ერთი რამ — ბავშვი წავიყვანთ ისეთ კურორტზე, რომლის კლიმატური თუ ბალნეოლოგიური პირობები ხელს შეუწყობს მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

საქართველო მდიდარია კურორტებით, როგორც კლიმატური, ასევე ბალნეოლოგიური და კლიმატობალნეოლოგიურით.

ჯანმრთელი ბავშვის გაყვანა შეიძლება შოვში, წალენჯიხაში, ცაგერში, დაბა კეჩხოვში, სურამში, ბორჯომში, ქობულეთში, რომლებიც კარგად მოქმედებს იმ ბავშვებზეც, რომელთაც სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები აღენიშნებათ, მაგალითად, ბრონქიალური ასთმით და ასთმური ბრონქებით დაავადებულ ბავშვებზე. ხაციფიური ბუნების ბრონქოადენტებით შეპყრობილ ბავშვებზე („ჯირკვლებიანი" ბავშვები) დადებით გავლენას ახდენს ცემის, ბაკურიანის და ბორჯომის ხეობაში განლაგებული კურორტებიც ბუნებრივი უაქტორები.

რევმატზმით და რევმატული ათრიტით დაავადებულ ბავშვებს უბდებათ წყალტუბოს მინერალური წყლის აბაზანები და ქობულეთი. ქობულეთის ნოტიო კლიმატი დადებით ეფექტს ახდენს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზეც.

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების დროს მიზანშეწონილია ბორჯომის მინერალური წყლები და გარდა წყლებისა, ბორჯომის კარგი კლიმატური პირობებიც.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ურეკის სიკეთე. ურეკის მაგნეტური ქვიშის აბაზანები ფეთილსასურველ გავლენას ახდენს ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებით შეპყრობილ ბავშვებზე, განსაკუთრებით კი სამშობიარო ტრავმების ნარჩენი მოვლენების დროს.

მისასალმებელია, ამ ბოლო დროს საგრძნობად იზრდება სანატორიუმების რიცხვი, შენდება დასასვენებელი სახლები, დედათა და ბავშვთა პანსიონატები.

შეგიძლიათ დაისვენოთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში — ბარში, მთაში და ზღვაზე.

ინტერვიუ აიღო

ირმა ჩოფიკაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მოვიდა უკვდავება



თამარ ჭოველიძე

ნათია ბაშალეიშვილი

საქართველოს

სიკვდილით სჯიან კაცისმკვლელს. საბჭოთა საქართველოში, რომელმაც თებერვალში გადაიხადა თავისი დაბადების დღე — 68-ე წლისთავი, 9 აპრილს, გამთენიისას, სიკვდილით დასაჯეს 16 წლის გოგონა... ცეკვისა და სიმღერისათვის. ალბათ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ასეთი ფაქტი. ერთ წამში გაქრა მითი საბჭოთა ჯარისკაცის ჰუმანურობაზე, როცა ორადალესილი ნიჩბები დაუმიზნეს ქალწულთა გულმკერდს, ყმაწვილების კუნთოვან კისერს.

სიკვდილით სჯიან კაცისმკვლელს. 9 აპრილს, გამთენიისას, გაზაფხულის სურნელით დამთვრალ რუსთაველის გამზირზე საქართველოსთვის მლოცველ, დაჩოქილ მამულიშვილებს ზურგიდან მიეპარნენ, ალყაში მოამწყვდიეს და ამოხოცეს თუ ნიჩბებით და ხელკეტებით, თუ ქიმიური მომწამვლელი გაზებით.

ეს უტყუარი ფაქტია. ამას ამბობენ თვითმხილველნი, ამას გვიჩვენებს ვიდეოფირი.

ამაზრზენია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დახოცილები უმეტესად ქალები და მოზარდები არიან, რომელთაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ. ყველანი ძალიან ღირსეულნი, კეთილშობილნი, სანთლებივით წმინდანი იყვნენ, თუ დანაშაულად არ ჩაეთვლოთ საქართველოს დიდ სიყვარულს.

მოკლულია 20-მდე ადამიანი, მონამლულია ჯერჯერობით 2700 დემონსტრანტი. მათი რიცხვი მატულობს. ნითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა ჩამოსვლის შემდეგ მონამლულთა გადარჩენის იმედი აკიაფდა. დახოცილებს არაფერი ეშველებათ, მხოლოდ ხსოვნაა მათი წილხვედრი. გარდაცვლილთა ოჯახების მონახულებამ საშუალება მოგვცა მოგვეხახა შტრიხები მათი პორტრეტებისათვის.

* * *

ზარი რეკავს. დედას ახლაც ჰგონია, რომ თამრიკო სკოლაში მიდის. სკოლა გვერდითაა და ზარის ხმა ყოველთვის ისმის.

გაკვეთილები გათავდა. დედას ჰგონია, რომ თამრიკო საცაა მოვა. საუზმე გამზადებულია, დაჯდება და დინჯად, მადიანად დანაყრდება.

ვაი, რომ დედას ახლაც ჰგონია. თამარ ჭოველიძე ვეღარც სკოლაში წავა, ვეღარც გაკვეთილებიდან დაბრუნდება და ვერც თერმიტ კლასს დაამთავრებს...

...მოკლადი და ნაყინი უყვარდა. დედა უშლიდა, გასუქდებიო. იცინოდა, ვერ ელოდა.

...დაეკარგა საყვარელი პოეტების ლექსები, რომლებიც უბის წიგნაკში ჩაინერა. იდარდა. თუმცა ყველა ზეპირად იცოდა. მაინც იდარდა.

ეს წელი უბედურად დაიწყო მისთვის, როცა მეორე დედა, ჯული დამრიგებელი დაჰკარგა...

სკოლიდან მასთან ხშირად მოდიოდნენ მეგობრები — ნათია წერეთელი, ნათია ბაშალეიშვილი, ნინო ანდღულაძე.

...დედასთან მორიდებული იყო. ზედმეტ მხიარულებასაც იმორჩილებდა. ცეკვავდაო, — ამბობენ. დედასთან არ უცეკვია.

...ფიზკულტურის გაკვეთილი არ უყვარდა, კარგად ვერ დარბოდა და იმიტომაც.

მაინც როგორ ირბინა იმ ავბედით ღამეს? თეატრამდე მივიდა. უკან ფეხდაფეხ მოსდევდა ხელკეტიანი ჯარისკაცი. სალაროების კარი ღია დაუხვდა. შევარდა და ჩაიკეტა. ფანჯარა შეამტვრია მხეცმა, გადახტა და ხელჯოხის რკინის ტარი მოუქნია.

„ნუ მომკლავ, დედას ერთი ვყავარო" — შეევედრა გოგონა. გარეთ ჩავლილმა შეშინებულმა დემონსტრანტმა მისი ტირილი გაიგონა.

ხელჯოხი ბეჭებში მოხვდა. მერე თირკმელები ატკივდა. ელენთა გაუხეთქა არაკაცმა. ბოლოს კისრის ფუძე გადაუტეხა.

თმები გაეშალა თამარს. ნელნელა ჩაჯდა თეთრი გედი. ღია, უსიცოცხლო თვალებში დარჩა კითხვა:

— რისთვის?

19 ივნისს, სიონში საეკლესიო წესით ნამებულებს მოიხსენიებენ. თამარ ჭოველიძე არაადამიანურად არის ნანამები. იგი საეკლესიო წიგნშია შეტანილი. პირველად ალბათ პატარა წამებულს ახსენებენ.

* * *

ნათია ბაშალეიშვილს სევდიანი გამოხედვა ჰქონდა. უყვარდა კლასიკური მუსიკა. ხშირად საათობით უსმენდა. კერვა ეხერხებოდა. თავისთვის კაბებს იკერავდა. ვერაზე პატარა ბნელ ოთახში იზრდებოდა. ბინა არ იყო ჯანმრთელი, მაგრამ ზემო ვერ უყვარდა და სხვაგან გული არ მიუწევდა.

დიდ დიღომში ახალი ბინა მიიღეს. მოეწონა მზით და სინათლით სავსე მაღალი სართული. ერთი ოთახი თავისად ჩათვალა. თეთრი უნდა იყოს მისი კედლებიო და თბილისური ჭრელი შპალერი ჩამოაცალა... სკოლას დავამთავრებ და აქ ვიცხოვრებო. არ დასცალდა.

ამ ცოტა ხნის წინათ ამხანაგი ვაჟი დაუჭრეს. განიცადა, ყოველდღე დადიოდა საავადმყოფოში. მერე დედას ფული გამოართვა, ხინკალი მოინატრაო და წაუღო.

...როცა ასაფლავებდნენ, 51-ე სკოლასთან, თავის სკოლასთან შეაჩერეს, ისევე როგორც მისი თანაკლასელი თამარ ჭოველი-

თამუნა დოლიძე

ელისო ჭიპაშვილი

მარინა ჭყონია-
სამარგულიანი

ნანა სამარგულიანი

ᲐᲡᲣᲦᲔᲑᲘ

ძე. შავი დროშები უფრო დახარეს ძირს. გამცილებლები ტროროდნენ, მერე ყველამ ერთად მოიყარა მუხლი პატარა ნამებულის წინაშე.

* * *

ასეთი შვილი თუ მყავდა, არ ვიცოდი, — ამბობს თამუნა დოლიძის დედა.

გარეგნობით მამას ჰგავდა. მამა ადრე დაპკარგა. გრიშა დოლიძე ახსენდებოდათ ამხანაგებს მისი დანახვისას. თავისით გაიკელია გზა, იბეჯითა, ჟურნალისტის სპეციალობა მიიღო. ტელევიზიაში მუშაობდა, შემდეგ აგროინფორმმრეწვში გადავიდა. იქაც ყველას შეაყვარა თავი.

თამუნა და დედა მარტო ცხოვრობდნენ. როცა აგვიანდებოდა, ურეკავდა. იმ ღამესაც დაურეკა. უკვე გვიან იყო. არ შეგეშინდეს, გამთენიისას მოვალო.

ყოველი ახალი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში პოულობდა გამოძახილს მის გულში. საინტერესო დღეები იყო მის საყვარელ თბილისში და არ შეეძლო ხალხში არ ეტრიალა, ყველაფერი არ ენახა და არ გაეგო.

გათენდა დილა, თამუნა შინ აღარ დაბრუნებულა.

* * *

აპრილში დაქორწინდა. აპრილში გარდაიცვალა. სულ მალე შვილს ელოდა. წამებით მოპკლეს ფეხმძიმე ქალი, რომელიც სიკვდილამდე დაჭრილებს შველოდა. მათ წამოყენებას რომ ცდილობდა, ზედ დააკლეს, რატომ ხარ კაცთმოყვარეო. მომავალმა ბავშვმა იგრძნო, რომ უკვდებოდა დედა, ვერ მიეხმარა, ვერც თავად იცოცხლა.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობდა ელისო ჭიპაშვილი. ცდილობდა თავისი საქმე პირნათლად ეკეთებინა, რომ ექიმებს დახმარებოდა ავადმყოფების გადარჩენაში. მას ვერავინ მიეშველა.

დილით, როცა დედამისს შვილის ნატანჯი სხეული მიუსვენეს, მაშინვე გადაწყვიტა დედამ, რომ არ ეცოცხლა. ტანჯვა სიკვდილზე უარესი იქნებოდა მისთვის. მოთქმით გული გაიხეთქა და სანამ შვილს დამარხავდნენ, გვერდით მიუწვა, რომ ერთად დასაფლავებულიყვნენ.

* * *

მარინა რომ შემოვიდოდა სამარგულიანების ოჯახში, კედლებიც იციხოდა. ქალბატონმა ლუბამ და ბატონმა ალექსანდრემ 5 შვილი გაზარდეს. მეექვსე — მათი კეკლუცი რძალი, ერთადერთი ვაჟის მეუღლე მარინა იყო. სიამტკბილობით ცხოვრობდნენ, შენ-ჩემობია არ იცოდნენ. რძალ-მული მარინა და ნანა დებზე უფრო მეგობრობდნენ. დილით მარინა ადრე ადგებოდა, ჩააცმევდა თავის ხატულა გოგო-ბიჭს — ნატოს და ალექსანდრეს, მერე მულიშვილს რუსუდანს მორთავდა, ყველას დააპურებდა, თვითონაც გამოეწყობოდა და ალექსანდრე და რუსუდანი საბავშვო ბაღში მიჰყავდა.

საღამოს, როცა ყველა მოიყრიდა თავს, დედას, 70 წლს მიღწეულ ქალბატონ ლუბას მაგიდა უკვე განყობილი ჰქონდა. დაღლილი, მშიერი ოჯახის წევრები მიუსხდებოდნენ სუფრას და გემრიელად ისადილებდნენ.

...— სამზარეულოში შესვლა მიჭირს, — ამბობს დედა და ცრემლებს იწმენდავს. გვიან ღამემდე იქ ისხდნენ ნანა და მარინა, ისხამდნენ ჩაის და საუბრობდნენ... მარინა თავის სამსახურის ამბებს ყვებოდა, ნანა კი თავისას. იგი ლიტერატურის ინსტიტუტის ინტერესებით ცხოვრობდა. მრავალმხრივი განათლება ჰქონდა მიღებული. ჯერ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტი დაამთავრა. უცხო ენები იზიდავდა. ფრანგული ენის უკეთ შესასწავლად უნივერსიტეტში შევიდა, დაამთავრა, შემდეგ დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კვლევით და ლიტერატურის ინსტიტუტში დაინყო მუშაობა.

უადრესად კეთილშობილი პიროვნება იყო ნანა. როცა ვინმეს უჭირდა, პირად საქმეს გადადებდა, დასახმარებლად გარბოდა.

ამიტომ იკლავდნენ თავს ნანას მეგობრები... შვილებმკვდარ დედას, ქალბატონ ლუბას მათი დამშვიდება უხდებოდა.

...ბავშვებისათვის სახლი დაცარიელდა. გადიდებული სურათებიდან იტაცებენ დედის ღიმილს, ვაკკაცურად იტანენ დარდს. ღამით ნანას 5 წლის რუსუდანი მარტო წვება, გვერდით, დედის ლოგინზე არავის ანვენს. როცა დედა მოვა, აქ დაიძინებსო...

* * *

კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში მეათეკლასელები მნარედ დასტიროდნენ უსაყვარლეს მეგობარს, 15 წლის ეკა ბეჟანიშვილს.

— ეკა, ეკუნა, — რა ვუთხრათ დედაშენს, როცა კარგად გახდება და სკოლაში მოგაკითხავს. 9 აპრილის ღამეს დედაც სასიკვდილოდ დაშავდა, მაგრამ რაღაც განგებამ გადაარჩინა. მან ჯერაც არ იცის, რომ შვილი აღარა ყავს. მის მახსოვრობაში დაკარგულია 9 აპრილის ამბები...

შინ წასვლა რომ ცოტათი შეგაგვიანდებოდა, დედაშენი იმნამს სკოლასთან გაჩნდებოდა. ახლაც შინ რომ ვერ მიხვალ, აქ მოგაკითხავს, რა ვუთხრათ, ვაჩვენოთ ის კუთხე, რომელიც საკლასო ოთახში მოგიწყვეთ? შენი სურათი და ვარდებით სავსე მაგიდა, რომელზეც განუწყვეტლივ ინვის სანთლები. აქ აწყობენ შენი მეგობრები იმ გულითად ლექსებს, რომლებსაც მთელი საქართველო გიძღვნის.

ასე მოვიდა უკვდავება

ეკა ბეჟანიშვილი

მანანა ლოლაძე

ზაირა კიკვიძე

მზია ჯინჭარაძე

„გული სევდით რომ აგვივსე,
დარდი რომ არსად ეტევა...
მიუხვალ თინა ნავკისელს,
დიდ თამარსა და ქეთევანს! — ეს

ლექსი გამოგზავნა 154-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ხატია ასათიანმა.

ირმა მამასახლისი, შენი ყველაზე ახლო მეგობარი, ხმას ვერ იღებს, ხანდახან შენი მერხისკენ იხედება, თითქოს უხდა დაგიძახოს, როცა საკლასო ოთახში არავინაა, შემოდის ჩუმად და შენს კეთილ სახეს მისჩერებია. რა სიკეთე დასთესე, ეკუნა, ჩვენში შენსავით გულმონყალე ხომ მეორე არ გვყავდა, რა გეშველება უშენოდ? სულ დავიკარგებით.

* * *

მანანა ლოლაძეს რომ სცოდნოდა სიკვდილი ენერა, უფრო სხვანაირად გამოეთხოვებოდა დედ-მამას.

სამ საათს არ გადავაცილებო, — დაიბარა და ჯორჯიაშვილის ქუჩიდან, თავისი სახლიდან სულ მალე მთავრობის სასახლის წინ გაჩნდა. აქ მას ბევრნი იცნობდნენ: ნოემბრის თვეში მანანა მოშიმშილეებში იჯდა. ახლა ალარ შიმშილობდა, მაგრამ თანაუგრძნობდა და გვერდიდან ალარ შორდებოდა მათ. როცა ტრაგიკული ღამის შესაცვლელად დილა უნდა შემოსულიყო, ყველა იქ მყოფმა რაღაც საჭიროების მოახლოება იგრძნო, მაგრამ ფეხიც არავინ მოიცვალა, კედლად დაუდგნენ ერთმანეთს. მანანას არ ეგონა, თუ სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ, თორემ უფრო სხვაგვარად გამოეთხოვებოდა დედ-მამას, თავის ბაღს, — მამასთან ერთად რომ გააშენა დიმიტროველთა ამხანაგობის მინაზე, ვარდებსა და იასამნებს.

დაობლდა დედ-მამა კარგი შვილისაგან, რომელიც პატრონად ეგულებოდათ, ამიერიდან ვეღარც ბაღი იყვავილებს!

* * *

— ზაკო! — მწუხარედ დადის ვრცელ ბინაში ზაირა კიკვიძის ერთადერთი ვაჟი ნუკრი და ცოლს არიდებს ცრემლიან თვალებს.

— ზაკო! — ეძახის მასზე უზომოდ შეყვარებული რძალი და ქმრისგან მალულად ოხრავს...

ზაირა კიკვიძის მეუღლე ალმასხან ალბუთაშვილი კი ხმასაც ვერ იღებს შვილების შემყურე, სწრაფად იცვამს და სასაფლაოზე მიდის...

ისეთი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ, რომ არასოდეს არაფერი დაუშლია ცოლისათვის, სამი მათემატიკოსი ერთი ოჯახისა, თავიანთ სამყაროში იყო ჩაკეტილი და საღამოს შინ სასიამოვნო დაღლილობისაგან რომ იტვირთებოდნენ, გეგმებს ანყობდნენ, ვის საით მიუწევედა გული ან რის გაკეთებას აპირებდა.

ზაირა ყოველ ზაფხულს ჩადიოდა სამხრეთ საქართველოში, ხერთვისს, რომლის ისტორიულ ძეგლებსაც კიბერნეტიკის ინსტიტუტი შეფობდა. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ახალგაზრდებს გვერდიდან არ შორდებოდა და დიდ ისტორიას სიყვარულით ელოლიავებოდა.

მისი სამუშაო კიბერნეტიკის სფეროდან ძალზე აქტუალური იყო. მას უხდებოდა ხშირი მივლინებები მოსკოვში.

თავის სიყრმის მეგობართან, ნელი ტყეშალაძესთან ერთად მივმგზავრებოდა ქალაქში, სადაც ასპირანტურის ნლებიც ერთად გაატარეს. ზაირა კიკვიძე რამდენიმე შრომის ავტორი იყო, ახალი კი დაუმთავრებელი დარჩა. ვეღარ მოასწრო...

* * *

არავის სჯეროდა, რომ შვილიშვილი ჰყავდა. ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონი მზია ჯინჭარაძე ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, მედიკოსთა საკრებულოს ამშვენებდა და ფასს მატებდა ჭკუით, გულმხურვალებით, ადამიანის სიყვარულით, ავადმყოფთა მოვლით, მათ გაჯანსაღებაზე ფიქრით. მაგრამ ვაი, რომ მძიმე იყო სფერო, რომელშიც მუშაობდა, ვაი, რომ მძიმე გულით ცხოვრობდა, რადგან ყველას სრულ განკურნებას ვერ ახერხებდა. მაინც თავდაუზოგავად ეძიებდა და პოულობდა კიდეც საშუალებებს, რომ მეტი შეღავათი ეგრძნოთ სულით ავადმყოფებს, წერდა შრომებს, იმედი ჰქონდა, რომ დადგებოდა დიდი აღმასვლა რთულ ფსიქიატრიულ მეცნიერებაში...

უღვთო იყო მისი სიკვდილი, რამდენი პაციენტი ელოდა ლამაზი ქალბატონის შემოსვლას დილით პალატაში. ავადმყოფებს მოუკლეს იმედი — ექიმი, შვილებს კი იმედი — დედა. უმცროსი ქალიშვილი ჯერ სკოლის მოსწავლეა. ცოტა ხნის წინ მამა დაჰკარგა — შესანიშნავი ექიმი და სპეციალისტი გურამ ბაღათურია, და ასე მალე მას დედაც მიჰყვა. დედას უნდა ეცოცხლა, იგი ჯანმრთელი იყო და მაძის მაგიერობას ნანილობრივ სწევდა... სად ნახონ რწმენა ქალბატონ მზიას შვილებმა? როგორ იცხოვრონ ქვეყანაში, სადაც ამავე ქვეყნისვე ადამიანებმა მათ დედას წამებით სული ამოხადეს?

რისთვის? მთელი ცხოვრება გაანვალებს მათ ეს კითხვა და პასუხს ვერ იპოვნიან.

* * *

— თამარ მამულაშვილი არაჩვეულებრივი დედა იყო, — იგონებს მეგობარი. მარშან ნოემბერში ვაჟიშვილი ჯარში გაისტუმრა. გერმანიიდან ელოდა მის წერილებს. ზეიმი იყო მისი შვილის ბარათის

თამარ მამულაშვილი

თინა ენუქიძე-ლეკიშვილი

მანანა მელქაძე

მოსვლა. სასოებით ჰქონდა ყველა წერილი შენახული და ყოველდღე გამოიღებდა, ფურცლავდა, ათვალიერებდა, ამით თითქოს ყოველდღე ნახულობდა თავის ვანოს. ბიჭს მამამისის სახელი ერქვა, გოგონას კი — დედის, ვერიკო 15 წლისაა და ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალურ სკოლაში სწავლობს.

ერთად იდგნენ 8 აპრილის ღამეს სამივენი — თამარი, მეუღლე და ქალიშვილი. ჯარის გამოჩენის თამარს არ შეშინებია, მისი ბიჭის ტოლები განა რამეს დაამართებდნენ? მოულოდნელი იყო ხელკეტის ჩარტყმები. თამარი უგრძნობლად დაეცა, არეულობაში მისიანებმა ეს ვერ შენიშნეს...

ვაჟიშვილი გერმანიიდან ჩამოვიდა დასაფლავების წინა დღეს. დაცარიელდა სახლი უდედოდ.

ასევე დაცარიელდა ოთახი, სადაც თამარი მუშაობდა. „ბაქტერიოფაგის" თანამშრომლები ვეღარ გაიგონებენ მის ხმას, იმედიანს, სასიხარულოს, სამოკეთოს. აღარც მისი ჩანაწერები დამუშავდება, უპაერო გარემოში ბაქტერიებზე დაკვირვებისას რომ შეადგინა... ნავიდა ადამიანი ჯერ კიდევ ვალმოუხდელი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე.

* * *

8 აპრილს, სანამ მოშიმშილეთა გვერდით თანაგრძნობის გამოსახატავად დადგებოდა, თინა ენუქიძემ, 5 შვილიშვილის ბებიამ ჩამოიარა მისაქციელში, ქძრისეულ ეზოში გაშენებულ ხეხილის ბაღს, დაჰკოცნა ახალგამოსული კვირტები და სახლის კარი ნელა გამოხურა. ყველაფერი დაბინავებული დასტოვა—ძროხა, ხბო, გოჭი, ქათმები.. დიდი ჯანმაგარი და ხალისიანი მეურნე გახლდათ ქალბატონი თინა. ხილი თუ ბოსტნეული, რძის პროდუქტები თუ ხორცი — ყველაფრით ამარაგებდა თავის ორ შვილს ცისანა და იურის თბილისში. დედის ხელით მონეული მაინც ყველაფერი გემრიელია!

იმ საბედისწერო ღამეს ქალბატონი თინა ვაჟიშვილთან და შვილიშვილებთან ერთად მთავრობის სასახლესთან იყო. მას აინტერესებდა ყველაფერი, რაც შეეხებოდა საქართველოს, მის მომავალს. დედა ქვეყნის ინტერესებით ცხოვრობდა. მას არ შეეძლო გულგრილი დარჩენილიყო მოვლენებისადმი, ხალხის ბედს რომ შეეხებოდა.

ახსოვს იურის, როგორ მისდევდა დედა სამგლოვიარო პროცესიას ნატო ვაჩნაძის ფერფლის დაკრძალვისას, ან როგორ დაპკარგა ზღვა ხალხში ფეხსაცმელი, როცა გალაკტიონს მიასვენებდნენ...

არა, დედა გულგრილი ახლაც ვერ დარჩებოდა, აკი მიეხმარა კიდეც მილიციის მუშაკებს მოშიმშილთა გადარჩენაში. ჩემს ჭაღარას რომ შეხედავენ, მე არ დამარტყამენო, — ფიქრობდა 70 წლის მანდილოსანი, მაგრამ შვილიშვილების ტოლებმა მასაც ჩაულენეს ნეკნები. მომაკვდავი გამოიყვანა მილიციელმა სასწრაფო დახმარების მანქანასთან ქალი, რომელმაც თავისი ადამიანური ვალი პირნათლად მოიხადა.

სულ ახალგაზრდა იყო თინა ენუქიძე, ქმარი რომ სამამულო ომში გაიწვიეს. დარჩა ორი პატარა შვილის ამარა. ომს გადაურჩა მეუღლე, დაბრუნდა, მაგრამ ერთ წელინადში გარდაიცვალა — მას ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა. მაშინ იური 5 წლისა იყო, ცისანა 7-ის. 27 წლის ქვრივმა დედამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შვილები კარგად აღეზარდა. კიდევ შეეძლო ეცოცხლა ათი წელი მაინც, მაგრამ...

* * *

ჩვენი ლამაზი მანანა — ასე ეძახდნენ მანანა მელქაძეს ელექტრონექნიკური ინსტიტუტის თბილისის ფილიალში. მაგრამ სილამაზე მარტო გარეგნობაში არ გამოიხატებოდა. სულით მაღალი, მოსიყვარულე, ყველასთან მომღიმარი დამამშვიდებლად მოქმედებდა ირგვლივ მყოფებზე.

სამსახურში იცოდნენ, მიტინგზე რომ დადიოდა მეგობრებთან ერთად. როგორც ყველა ახალგაზრდა, ისიც შენაბრდა საქართველოს — ძლიერს, ეკონომიკურად მხრებგაშლილს, სუვერენულს და თავისუფალს. იმედი ჰქონდა, რომ რადგან გარდაქმნის ეპოქაში ცხოვრობდა, მასაც და მის თანატოლებსაც ექნებოდათ აზრის გაზიარების, დისკუსიის, კამათის, დიალოგის საშუალება, რაც ხელს შეუწყობდა სწორი და მისაღები მსოფლმშედველობის ჩამოყალიბებას. მანანას სჯეროდა და კიდეც ამბობდა, რომ ტანკებისა და ჯარის გამოჩენა არ ნიშნავდა შეტაკებას, მსხვერპლს. ვერ წარმოედგინა, რომ მშვიდობიან სახელმწიფოში მცხოვრებ მშვიდობიან ქალებსა და გოგონებს მოსაკლავად მიეჭრებოდნენ. ზედ ვაჟებსაც წააკლავდნენ. ასე დაეკარგა საქართველოს ნოდარ ჯანგირაშვილი და მამუკა ნოზაძე, გია ქარსელაძე და შალვა ქვასროლიაშვილი. ვინ იცის, როგორ წაადგებოდნენ ქვეყანას, როგორ ნერგს ახარებდნენ!

...9 აპრილს დაღუპულებს ხალხი არ დაივიწყებს. მათი სახელები ისტორიაში დარჩება. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია წამებულთ ყოველთვის ძოიხსენიებს. საქართველოს ასულთა სიხლი მაღლა ცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს.

ლია კაკაბაძე

ნატო გიორგაძე

რა დააშრობს იმ ცრემლებს, რა დააცხრობს იმ გაუნელებელ ტკივილებს 9 აპრილის უბედურებამ რომ დაატეხა თავზე ქართველ ხალხს! საუკუნეც არ იკმარებს ამ დარდის გასაქარვებლად.

დიდხანს გავიძახოდით — დაუჯერებელია, სისხლი არ დაიღვრებაო, მაგრამ რა საშინელი, ენით გამოუთქმელი და გაუგონარი რამ მოხდა...

უბედურების ზარმა ჩოხატაურშიც ჩამოკრა.

ხელისკანკალით შევაღეთ მთლად დათალხული, წალკოტადქცეული ეზო-კარმიდამოს ჭიშკარი. დარდიხგამ სულმთლად დაჩიავებულან ნუნუ და ალიოშა გიორგაძეები. იქ, შორიახლოს, გზის განაპირას, განცალკევებით, მარტოდმარტო განისვენებს ოჯახის პირველი იმედი — ნატო გიორგაძე. კდემამოსილებით, სიდინჯით, ქართველი ქალის ყველა საუკეთესო თვისებით შემკული 29 წლის ქალიშვილი. დიდცხოვრება გამოვლილი დარბაისელი მანდილოსანი რომ იამაყებდა, აი. ისეთი. ამიტომაც ვერ შეელია „ანალიზხელსაწყოს" კვლევითი ინსტიტუტი საუკეთესო ელექტროინჟინერს, კადრების შემცირების მიუხედავად, ის სწორედ მაშინ დააწინაურეს.

ყვავილები უყვარდაო გამორჩეულად პოეზიაზე უზომოდ შეყვარებულს. აპრილის მოლოდინში გული ელეოდაო, გაზაფხულის მოსვლას განსაკუთრებით შეეპროდაო, — იგონებენ მეგობრები. და აი, სწორედ გაზაფხულზე, მისი საყვარელი აპრილის თვეში...

საქორწილო ტანსაცმელში დაიტირა მთელმა რაიონმა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქალიშვილი. დედას გაუნელებელ დარდად, მოუშუშებელ ტკივილად დაუტოვა ქების სიგელები, ჯილდოები, წარჩინებულის დიპლომი...

მხოლოდ თმებიღა შერჩენოდა ნატოსი, გარეგნული მომხიბლავობა ისე წაეშალათ ჯალათებს, დედასაც კი არ შეეძლო მიკარება. ნეტავ როგორ გაიმეტეს შოლტივით მოქნეული ქალიშვილი იმ უგულოებმა ასე დასამახინჯებლად!

„მთელი ქართველი ერი თავს ხრის თქვენს წინაშე", „თქვენი სახელები მარად უკვდავია, როგორც თვით საქართველო", „ჩვენო საამაყო მამულიშვილნო", „ჩვენო უცნობო მეგობარო", სულისშემძვრელი წარწერებიანი ზღვა გვირგვინებია ძაძებით შემოსილ ბორცვზე.

რამდენი ყვავილი გკონია საქართველოვ აპრილის თვეში!

როგორი ცრემლთაღვრა შეგძლებიათ ადამიანებო!

ნანული გუკია

აზა ადამია

ჩემო აზა, როცა დიდი ტკივილია, ძნელია წერა. რამდენჯერაც ავიღე კალამი, იმდენჯერ თვალწინ დამიდგა მწუხარებისგან ცრემლგამშრალი შენი დედიკოს გაკვავებული სახე. შენ ხომ პირველი სიხარული იყავი და ოჯახის დიდი იმედი, საშუალო სკოლა ფრიადზე დაამთავრე, სწავლამოწყურებულს სწავლის გაგრძელებაზე სიტყვა არ დაგიძრავს, იცოდი ოთხი შვილის გაზრდა როგორ უჭირდათ ისედაც მცირეხელფასიან მშობლებს.

ჯერ ნახონაუს, მერე ბალდის საბავშვო ბაღში დაიწყე მუსიკის მასწავლებლად მუშაობა. გიყვარდა სიცოცხლე, გიყვარდა მუსიკა, გიყვარდა სიმღერა და ცეკვა. მთელი ქვეყანა გიყვარდა. შენ ხომ მხოლოდ სიყვარულისთვის იყავი დაბადებული. რაც უნდა გწყენოდა, შენ მუდამ ღიმილიანი ბრუნდებოდი. ისეთი ხალისიანი იყავი, ხალის კარს რომ შეაღებდი, შენს დანახვაზე თითქოს ოთახის კედლებიც კი იცინოდნენ. მაინც სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდი. მიგიხვდა დედა და იძალა, თვითონ ჩამოგაყვა თბილისში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე პირველი გამოცდა ხუთზე ჩააბარე, როცა მეორე გამოცდაზე მიდიოდი, დედამ შემოგაჩივლა: „შვილო, შენ რომ მეორე გამოცდაზე ხუთიანი არ მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არ ჩაირიცხო, რა გვეშველება. ცამეტი მანეთი დამრჩა მხოლოდ და უკან დასაბრუნებელი ფული არ გვეყოფაო. შენ ისევ ხუთიანით გაახარე დედა.

მერე გეგეჭკორის სასოფლო-საბინაო კომუნალური მეურნეობის სამეურნეობათაშორისო რაიონულ გაერთიანებაში მშენებლობის ბრიგადირად დაიწყე მუშაობა, სტუდენტი ქალიშვილი წარმოების მოუწყვეტლად ეუფლებოდი ცოდნას.

ჩემო აზა, იმ დაწყევლილ დღეს 28-ე გაზაფხულს შეხვდი მხოლოდ, მეხუთე კურსის გამოცდები ხუთებზე ჩააბარე, თანაკურსელ ნინო თოიძესთან ერთად ხელჩაკიდებული მისეირნობდი რუსთაველის გამზირზე, რა იცოდი, რომ ეს თქვენი უკანასკნელი გასეირნება იყო.

საქართველოში იტყვიან: „პატიოსანი ძალღი ქალს არ შეუყეფსო"... საოცარია, სასიკვდილოდ როგორ გაგიმეტა შენმა თანატოლმა პირტიტველა ჭაბუკმა, ისედაც სიფრიფანა გოგონას ბარით ან რეზინის ხელჯოხით უმოწყალოდ როგორ გცემა?! რატომ არ გაუხმა ხელი. ნუთუ არ გაახსენდა დედა ან ვინმე თავისიანი?

9 აპრილს, დილით, მშვიდობის ქუჩაზე ადამიების ჭიშკართან იდგა დედა, მამა, უღლად ძმები და დაიკო, გელოდნენ... გელოდნენ... და შავი გაუგონარი ამბავი მოვიდა. დედის კიკილმა გაჰკვეთა ცა. არა! აზა მარტო შენი დედის კიკილმა კი არა, ყველა ქართველი დედის სულის კიკილმა შეძრა საქართველო.

შენი და შენი თანატოლების უმანკო სული ზეცაში გაფრინდა. თქვენ ყველამ თბილისში დატრიალებულ ჯოჯოხეთში მამულისათვის სიკვდილით მოიპოვეთ მარადიული სიცოცხლე.

ჩვენ კი, შენი ერის შვილებს, სამუდამო მოუშუშებელი ჭრილობა და ტკივილი დაგვრჩა გულში.

ოლია რევია

ნინო თოიძე

მთელი სოფელი შეძრა დედის შემზარავმა კივილმა.

გაოგნებული ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა, უცბად ვერავინ აღიქვა თოიძეების ოჯახის ეს უბედურება. მშრომელი, პატიოსანი ხალხიაო, — ახასიათებენ ციალა და შუქრი თოიძეებს ლიხაურში. სამი შვილი ერთიერთმანეთზე უკეთესები აღზარდეს. ის ნაბოლარა ნინო გამორჩეული იყო ყველასგან, ტოლ-მეგობრებში მისაბაძი და სამაგალითო, არავინ შეუწუხებია ისე გახდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი.

— ცოტაც გავიჭირვოთ, მალე დიპლომს ავიღებ, გვერდში ამოგიდგებით და შრომას შეგიმსუბუქებთო, ამბნევებდა მშობლებს მე-5 კურსელი გოგონა. დედას, მის სათაყვანო არსებას, ტკივილებისგან შეჭირვებულ ქალს წუთით ვერ ტოვებდა, როცა ოჯახმა მოითხოვა, უყოყმანოდ მიატოვა თბილისი და ოზურგეთის საპროექტო ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. იმ საბედისწერო აპრილში, ლექციების მოსასმენად ჩავიდა დედაქალაქში. შინ რა გაარერდა, მისი ხალხისკენ, მისი ერისკენ ეწეოდა გული...

— „ჭორწილი დიდი გადავუხადეთ, ახლა უკან უნდა ვისტუმროთ და მაშინაც ბევრი სტუმარი გვეყოლება, ასე იციან ჩვენში", — იქაურობას ზარავს დედის გოდება. მისი ქორწილისთვის ემზადებოდა ოჯახი, ახლა მის ხელშენახებ ნივთებს: ჩათვლის წიგნაკს, საგულდაგულოდ ცალკე აკინძულ პატრიოტული ლექსების დასტას ვინ იცის მერამდენედ ეალერსება დედის დაკოურილი ხელი. მერე მოიბოდიშა, ნინოს სამსახურიდან მოსვლის დროაო, ტაბლაზე სურათების წინ, მისთვის საგანგებოდ მომზადებული სადილი დაალაგა. რას არ ეჭიდება, რას არ მოკმედებს შვილმკვდარი დედა, შვილის მოლოდინში უიმედოდ გზის შემყურე.

— შვილო, რა ბედნიერი ყოფილხარ, მთელი საქართველო შენ დაგტირის! — შემზარავად ჩაგვეხმის ძაძებით მოსილი ეზოს ჭიშკრისკენ მიმავალთ დედის მოთქმა.

ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიური სოფელი ბევრი სახელოვანი ადამიანით ამაყობს. მათ რიცხვს მიემატა სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული, მისი ბედნიერებისათვის შემართული, საქართველოს საამაყო შვილი ნინო თოიძე, რაიონის ცნობილ ადამიანთა სიაში რომ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი.

ნინო არჩვაძე

მარიკა გარათაშვილი

„ნანა, წამებულო, ნანა...“

ის იყო, ზეციდან ადგომა ინება
აპრილმა, დღეების ათვლით,
როცა დაიღუპნენ...
რარიგ გვეტირება,
ლამაზი სიცოცხლე მათი...

გზა და გზა სატანის ნადავლი ეყარა —
სიკვდილი დაგვატყდა რისხვით...
თავად რუსთაველის მკერდს გადაეღვარა,
ქართული, უმანკო სისხლი.

...მხოლოდ ის მოასწრეს — გვაუწყეს სათქმელი
ქალწულები წმინდა და მორცხვი,
იმ ღამით...
თითებზე დანთებულ სანთლებით
და ცისკენ გაფრენილი ლოცვით.

...მახვილი ჩეხავდა ოცნებას, სიმღერებს,
ბოროტი აქრობდა სანთლებს.
იმ ღამეს...
სიკვდილის ცელი მოუღერეს
ჩვენს ზეცას მაღალს და ნათელს...

და როცა ეგონათ, ქართვლი მოკვდებოდა
იმ ღამეს
აქ, ძელზე გასმით,
ქეთევანს ეახლა დიდ საქართველოდან
წამებულ სულების დასი.

ეახლნენ, რომ უქრობ კელაპტრად აენთონ
ივერის, კოლხეთის ცაზე,
რომ წმინდა ღვთისმშობლის კალთას შეავედრონ
მამული, ტკივილით სავსე.

...მოხდა საოცარი ცოდვის გადიდება —
ახლა დაღლილები წვანან...
ახლა სიო ცდილობს იმათ დამშვიდებას:
„ნანა, წამებულნო, ნანა!“

ილია

ხანდახან ის ისევ წარსულის ტყვე არის —
იმ მწარე, გარდასულ დღეთა...
ახლაც თავს ახსენებს შუბლის ნატყვიარი
და სისხლად ასფალტზე წვეთავს...

„ბართლომეს ღამეა“, თუ გზა წინამურის,
ან ბნელი, ავსულთა ტყეა?
მოიჭრნენ მკვლელები შემზარავ ხმაურით
და ერს დაახალეს ტყვია...
ვინ, ვინ მოისურვა მლოცველთა შემუსვრა,
წაბილწა მთაწმინდის კალთა?
ეგება ოსმალთა, ეგება სელჯუკთა,
ეგება უღმერთო სპარსთა?
მოგვხედე უფალო, გვიხსენი უფალო,
ნუ გვწირავ სარბევად მტერთა!..
— ქვაზე დალურსმული — წუხს ჭირისუფალი
და შხამი ასფალტზე წვეთავს...

ჩემი აჭარა

მეგონა, ცრემლი დაგვეწურა,
აღარ დარჩა — რა...
ღმერთო, მაღალო, რად გასწირე
ჩემი აჭარა!
ვხედავ მის ქედებს —
ჩემს ტკბილ მამულს,
ძაძით შემოსილს...
გლოვად ჩამოდგა გაზაფხული
საქართველოში...

2.05.89 წ.
ამ ლექსების ჟონორარი გადაირიცხება 9 აპრილს დაღუ-
პულთა მემორიალის ასაგებ ფონდში.

მაიას ბედის ვარსკვლავი

მაია ქმარ-შვილთან

ეს იყო 1942 წელს, როცა მძვინვარებდა დიდი სამამულო ომი. სამშობლოს ცა შავი ღრუბლებით იყო დაფარული. ინგრეოდა და იწვოდა ქალაქები და სოფლები. სიკვდილი დათარეშობდა ჩვენს მიწა-წყალზე, მშვიდობიანი მოსახლეობა დროებით ტოვებდა მშობლიურ ადგილებს, ეთხოვებოდა თავის ქალაქს, დაბას თუ სოფელს...

სწორედ იმ წლის შემოდგომაზე, ერთ ცივსა და პირქუშ დღეს, სალამოს, სოფელ ღარიხევში ხარაგოულიდან მიმავალმა ახალგაზრდა აგრონომმა ვერა ლოლაძემ გზაში რკინიგზიდან სოფელ ბაზალეთის შესახვევთან, ბუჩქის ძირას, ნახევრად შიშველი 3-4 წლის ატირებული გოგონა იპოვა. ამაო იყო ცდა გაეგო, ვინ, ან საიდან იყო იგი. ბავშვმა იცოდა, რომ ერქვა მაია, უნდოდა დედა, შიოდა, სცივოდა. დედის ხსენებაზე პატარა თითს გაურკვეველი მიმართულებით იშვერდა და მის შავსა და ფართო თვალებს ნაღველი ეფინებოდა.

არც დაფიქრებულა, ისე წაიყვანა შინ ვერამ გოგონა, მრავალჭირგამოვლილმა, ადრე დაქვრივებულმა ქართველმა მანდილსანმა ქრისტინე ლოლაძემ მზრუნველ დედასავით მიუალერსა გზააბნეულ ბავშვს, გაათბო მისი გაოგშილი პატარა სხეული, მისი მთრთოლვარე გული.

ასე დარჩა ლოლაძეების კეთილშობილ პატრონსან ოჯახში პატარა მაია. მისი გვარი ივანოვა ჩაწერეს.

ვის არ უჭირდა იმ მკაცრ წლებში, მითუმეტეს, ამ ოჯახს, რომლის ერთადერთი ვაჟი პლატონი ფრონტზე იყო, სამი და — ვარა, ნინო და ტასო კი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდნენ.

დამთავრდა საძულველი ომი. პლატონი ფრონტიდან დაბრუნდა. დემმა უმაღლესი განათლება მიიღეს. მაია მათი საყვარელი პატარა და გახდა. იგი ნიჭიერი, ბეჯითი გოგონა იყო. მან ქართულ ენაზე წარჩინებით დაამთავრა ხარაგოულის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რაც აგრეთვე წარჩინებით დაამთავრა. დების, ძმისა და რძლის უმაღლესი სასწავლებლის დიპლომებს მაიას მეშვიდე დიპლომიც მიემატა.

მაიამ ქალაქ გორის საკონსერვო ქარხანაში დაიწყო ცვლის უფროსად მუშაობა, მაგრამ მისი გონებიდან არ გამოდიოდა ფიქრი იმაზე, თუ ვინ იყვნენ მისი შობლები...

1963 წლის იანვარში ჟურნალ „ოგონიოკში" დაიბეჭდა ჩემი წერილი „შვიდი დიპლომი ერთ ოჯახში", რომელშიც ზემოთხსენებული ამბავიც იყო მოთხრობილი.

...და მოდიოდა და მოდიოდა ლოლაძეების სახელზე სამადლობელი ბარათები. და განა მარტო სამადლობელი? მაიას ამბავს კითხულობდნენ შვილდაკარგული მშობლები, იწერებოდნენ ბავშვის გარეგნულ ნიშნებს... თორმე რამდენი პატარა გოგონა, რამდენი პატარა მაია დაკარგულა ომის ავბედით წლებში.

წერილი მოვიდა ოდესიდანაც:

„ძვირფასო ქრისტინე! ომის წლებში, ოდესიდან ევაკუაციის დროს, ჩემი შვილიშვილი მაია საქართველოში დაგზავეკარგა. შესაძლოა ბედნიერმა შემთხვევამ ჩემი მაია თქვენს კეთილშობილურ ოჯახში მიიყვანა. იქნებ თქვენს მიერ გაზრდილი გოგონა ჩემი შვილიშვილია. თქვენი ჭირიმეთ, ნუ დაიზარებთ, მოხუც ქალს პატივი მეცით და მომწერეთ მის შესახებ, გამომგზავნეთ მაიას ფოტოსურათი.

ნატალია კოზირევა".

გამწარებული ბებია თან შვილიშვილის ნიშნებს იწერებოდა. ამჯერად ყველა ნიშანი დაემთხვა.

აფორიაქდა ლოლაძეების ოჯახი: ვაი, თუ წაიყვანონ, ველარ ვნახოთ ჩვენი თვალისჩინი, ჩვენი მაიაო, — დარდობდნენ.

მაგრამ კეთილშობილმა ბუნებამ და პატიოსნებამ სიმართლის, ეშმაკობის გზა აირჩია.

ერთი კვირის შემდეგ ლოლაძეებს ელვა დებეშა მოუვიდათ: „ოქვენთან მოდის მაიას დედა ვერა".

ალბათ ახლაც ბევრს ახსოვს ის დღე, როდესაც ხარაგოულში მაიას დედას ელოდნენ. ზღვა ხალხი იყო სადგურზე. ირემივით ყელმოღერებული მაია კი თავდახრილი იდგა ახლობლებთან ერთად, უზომო მღელვარება ემჩნეოდა ლამაზ სახეზე.

აი, ცისფერი ექსპრესიც ჩამოდგა. მესამე ვაგონის გამცილებელი ხალხს ხელისაღებით მიესალმა და მხიარულად, ხმამაღლა დაიძახა:

— მაიას დედა მოგიყვანეთ, მაიას დედა!

ტირილი, აღტაცება, ზვევნა-ეოცნა ერთმანეთში აირია. ყველას უნდოდა დაენახა დედა-შვილი, რომლებიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს...

ტირილით მოგვითხრო ვერა სიმონის ასულმა დრემუშენკომ, სხვებთან ერთად როგორ დაფოვა მშობლიური ქალაქი ოდესა და იმ ბედუკუღმართ დღეს დაკარგა ერთადერთი გოგონა...

— წყლის ახალებად სადგურზე ჩავედი, ბავშვი მეზობელს ჩავაბარე, მატარებელი დაიძრა და მე წინა ვაგონში ავედი. როდესაც ჩემს ვაგონში გადავედი, ბავშვი იქ აღარ დამხვდა. ალბათ, უკან გამომყვა და იქ დარჩა... ამაო გამოდგა მისი ძებნაო, — დაასრულა აღელვებულმა დედამ.

იმ დღეს გვიან ღამემდე ისმოდა ლოლაძეების ოჯახში ქართველთა და უკრაინელთა მეგობრობის სადღეგრძელოები.

შემდეგ ოდესა. გულითადი შეხვედრები. მაია მუშაობას იწყებს კვების მრეწველობის ცენტრალურ ლაბორატორიაში უფროს ქიმიკოსად და თანდათან ცოცხლდება მის ცნობიერებაში მშობლიური ქალაქი, მშობლიური ქუჩა და სახლი.

მაგრამ მაიას გული მაინც საქართველოსკენ მოუწევდა, სადაც გაიზარდა, იქ ეგულებოდა მისი ტკბილი ოჯახი, მისი თბილი კერა, რომელმაც შეიკედლა, დაფართიანა და ცხოვრების დიდ გზაზე გამოიყვანა. იქ ეგულებოდა გულისხმიერიც...

ერთი წლის შემდეგ მაია თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და კვების მრეწველობის სამინისტროში იწყებს მუშაობას. აქ მან თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ინჟინერ ზურაბ ჯიბინაძეს და ლამაზი ქართული ოჯახი შექმნა.

აღარ არიან მისი დედა ვერა, აღარც მისი გამზრდელი მეორე დედა ქრისტინე. მაგრამ სითბოსა და სიყვარულს არ აკლებენ ლოლაძეების ოჯახის დანარჩენი წევრები. მის გულს ახარებს ორი კარგი შვილი — რაზაზი და თამარი.

საქართველოს ცაზე უკრაინელი მაიას ბედის ვარსკვლავიც ანთია.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასმათ დავითაშვილი

ტკივილის სუსხიანი ღამე

მოთხრობა

ცივი, სუსხიანი ღამე მძიმედ დასწოლოდა მიდამოს. ბაქანზე მის მეტი არავინ იყო.

ნათურების სუსტ შუქზე აქა-იქ მოყინული გუბურები ციმ-ციმებდა.

გადასასვლელი ხიდის ორივე მხარე ბაქანს განიერი კიბე-ებით უერთდებოდა. კიბის მოაჯირს მიეყრდნო, პალტოს საყელო აიწია და ლიანდაგს მზერა გააყოლა. შორს ყვითელი წერტილი გამოჩნდა. ხან ქრებოდა, ხან ციალით ახლოვდებოდა.

მაშ, დღეს მატარებელი არ იგვიანებს.

საოცარი გრძნობა დაეუფლა: თითქოს არსად არც ნათელი იყო, არც სითბო, არც სიხარული, არც რამ სიტყვა სანუგეშო; თითქოს მისი სხეულის ფორმა უსულო რამ საგანს მოერგო, ეს საგანი ვიღაცამ აქ, ამ ცივ, მიუსაფარ ბაქანზე დადო და ბედის ანაბარა მიატოვა.

და იყო ახლა იგი მარტოდმარტო, ეული... არც რამ დარდი... არც რამ ტკივილი... არც რამ ნაღველი... აღარაფერი, აღარაფერი...

კვლავ გახედა შორეთს.

მატარებელს ყველა მოსახვევი უკან მოეტოვებინა და ლარი-ვით გაჭიმულ ლიანდაგზე უჩვეულო სისწრაფით მოპქროდა. მი-სი ყვითელი, უსიამოვნო თვალები თანდათან ფართოვდებოდა, არემარეს უფრო და უფრო მეტად ანათებდა. რა ახლოა, რა ახლოა... ყვითელი ფერი...

მერე ყველაფერი დატრიალდა, დატრიალდა თავბრუდამხვე-ვად, ნებისყოფის მომდუნებლად... და ყვითელი თვალებიც თა-ვისკენ იზიდავდა.

მატარებლის შესახვედრად ნელა გადადგა ნაბიჯი.

შეიძლება, მემანქანესაც გადაედო უჩვეულო რამ ძალა, შეშ-ფოთება, აღელვება — ელმავლის გულისწამლებმა, გაბმულმა კივილმა იმავ წამს გონს მოაგო და ადგილზე გააქვავა.

უკვე სვლაშენელებულმა მატარებელმა ზედ სახესთან ჩაუა-რა და გაჩერდა. აი, პირველი ვაგონი. ვაგონის კარი გაიღო. გამცილებელი ბაქანზე ჩამოვიდა და ბილეთი შეუმოწმა.

ვაგონის ჩახუთულმა ჰაერმა გამოაფხიზლა.

რა მოხდა, რა დაემართა!

ცხადლივ წარმოუდგა, როგორ ჩაუარა მატარებელმა თითქ-მის სახესთან. ერთი ნაბიჯიც და ყველაფერი გათავდებოდა. ერ-თი ნაბიჯი, მხოლოდ ერთი ნაბიჯი!

დაძაბულობამ გადაუარა და ახლა ყველაფერს გამძაფრებით აღიქვამდა, ყველაფერი გონებით თითქოს სამუდამოდ იბეჭდე-ბოდა: ეს მოფუთფუთე მგზავრები, ლოგინებს რომ ალაგებდნენ, თაროებიდან ფუთები და ჩემოდნები რომ ჩამოჰქონდათ, ნამძი-ნარევი ბავშვები, ასე რომ ჭირვეულობდნენ.

შუა ვაგონში თავისუფლება იყო.

ფანჯარასთან, ერთმანეთის პირდაპირ ორნი ისხდნენ. ორი-ვეს მაგიდაზე ხელები დაედო. ქალი ახალგაზრდა იყო, მამაკა-ცი — ხანშიშესული. იქვე მიჯდა, პალტო გაიხადა და მხრებზე მოისხა.

ის ორნი გაცხარებით ლაპარაკობდნენ.

მატარებელი ნელი რწევით დაიძრა.

...ლაპარაკობენ. რაღაც აწუხებთ, რაღაც აინტერესებთ...

რაღაც აწუხებთ...

ლაპარაკობენ!

არ იციან...

არავინ იცის, არავის აინტერესებს... არა, არა, რა შუაშია... არავინ...

ლაპარაკობენ...

იცის თუ არ იცის?

მთელი კვირაა, მხოლოდ ამაზე ფიქრობს, მხოლოდ ეს აზრი ანუხებს.

როგორ გახდა, დადნა და დაილია. ოდესღაც ასეთი წარმო-სადეგი, ლამაზი ვაჟკაცი, ახოვანი, დიახ, დიახ! წარმოსადეგი... სამი თვეა თანდათან ედება სნეულება, ასუსტებს, ღონეს აცლის.

ამ ორი დღის წინ ნახევარი საათით მიატოვა, ბაზარში წავი-და. ქათამი უნდოდა ეყიდა. იქნებ ის მაინც ეჭამა, თორემ მა-და დაკარგა. რომ მობრუნდა, დერეფანში დახვდა. მეზობლის დახმარებით ჩაეცვა, სკამი გამოეტანა და დამჯდარიყო. ხელები სკამის ზურგზე დაედო, თავი — ხელებზე, საყვარელი „კეპკა“ დაეხურა და ქუჩაში იყურებოდა.

ოჰ, რა ნაღველი. რა სევდა, რა სასოწარკვეთა ამოიკითხა მის თვალებში,

იჯდა, ქუჩაში იყურებოდა.

რაზე ფიქრობდა, რა აწუხებდა, რა უნდოდა?

იცოდა? ხვდებოდა?

ქუჩაში იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ გამვლელები და მანქანები, იქვე, რკინიგზის ხაზზე შორეული და ახლო დანიშ-ნულების მატარებლები მიპქროდნენ. ზამთრის სუსტი მზე მხო-ლოდ ნათელს ჰფენდა მიდამოს.

— მამა! — უთხრა წყნარად და მხარზე ხელი ფრთხილად შეახო.

ზამთრის სუსტი მზე! მოეჩვენა, თითქოს უხილავი არსება სველ ზეწარში ახვევდა და სიცივე მთელ სხეულს ედებოდა.

ღმერთო მაღალო! ან საყვედური თქვას, ან რამ ჩივილი წა-მოსცდეს! ხმა არ ამოუღია; თითქოს მისი ძახილი არ გაეგოს.

— შეგცივა, მამა!

ზამთრის სუსტი მზე!

მამა ნელა წამოდგა. და მხოლოდ ახლა, როცა ძლივძლივო-ბით გაიმართა, შენიშნა, როგორ დაელრღნა სნეულებას მისი სხეული. უფრო მაღალი ჩანდა. მუდამ წელში გამართულს, მხრები მოხროდა. მისი დახმარებით ძლივს შელასლასდა ოთახ-ში, ტანსაცმელი ძლივს გაიხადა და ლოგინში მორჩილად ჩაწვა.

სკოლიდან მოსულ ანეტას ორივე მიწყნარებული დახვდა. მხოლოდ დას ჰქონდა თვალები დასიებული.

ანეტამ შეხედა. აღარაფერი უთქვამს. მთელ დღეს ორიოდ სიტყვას თუ ეტყოდნენ ერთმანეთს. ეს იყო და ეს. ორივე თავის ავ ფიქრებში იყო ჩაფლული. ალბათ მამაც ასევე ავ ფიქრებს მისცემია. ან რატომ არ უნდა იყოს მამის ფიქრები ავი და სა-ბედისწერო.

იცის თუ არა?

ხვდება?

გვიან საღამოს თბილისში წასასვლელად მოემზადა. სადგუ-რი იქვე იყო და ანეტას გაცილება არ დაანება. წავიდა, რომ ადრიან დილით კვლავ ჩამოსულიყო. სხვა გამოსავალი არ ჰქონ-და, სამსახურს თავი დაანება, დღე მამასთან იყო, საღა-მოობით თბილისში ჩამოდიოდა — ქმარს მოელა უნდოდა, სახლს — მიხედვა, სადილს — გამზადება. არც ქმარი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინცდამაინც კარგად, იმიტომ უფრო დადიოდა, თორემ იქნებ დარჩენილიყო: ანეტასაც მეტად მიეშველებოდა, თვითონაც ცოტათი სულს მოითქვამდა.

აი, ახლაც თბილისში მიდის. თორმეტი საათისათვის შინ იქნება. რაღაცარაღაცეებს გააკეთებს, რაღაც-რაღაცეებზე ილაპარაკებენ, მერე დანვებიან, ძილ-ღვიძილში ღამე ნელა ჩაიფერფლება და განთიადისას კვლავ ადგება, რომ პირველ მატარებელს მიუსწროს.

მატარებელი საამოდ ირწევა, ბორბლები ყრუდ ხმაურობენ.

ანეტამაც, ასმათმაც, სერგომაც, ექთანმაც ხომ დაბეჯითებით იციან, ყველამ იცის, დღეების, ორიოდ კვირის ამბავია... ორიოდე კვირა... ნეტავ წარმოსახვის უნარი არ ჰქონდეს.

ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, არც მხრები უთრთოდა, არც ქვითინებდა, ვაგონში სუსტი შუქი იყო და მის ცრემლებს ვერავინ ამჩნევედა. ან ის ორნი რას შეამჩნევდნენ. გაცხარებულნი ლაპარაკობდნენ.

როცა მამის გვერდით იყო, საქმე და საზრუნავი არ აკლდა. ეს მაშინ, მის გვერდით. მერე... მატარებელი ღუპავდა. იჯდა ხოლმე თავისთვის ვაგონში, აი, ასე, როგორც ახლა. იჯდა თავისთვის და აბა თუ შეეძლო ავ ფიქრებს გამკლავებოდა!

რა არის, რა ძალაა, რა უმწეობა!

რა უშველოს, რა იღონოს!

არაფერი, არაფერი!

ყველაფერი თავისით უნდა წავიდეს, თავისით მოხდეს. არავის ამ ქვეყნად, არაფერს ამ ქვეყნად არ ძალუძს მოსახდენის თავიდან აცილება, ამ საშინელი პროცესის, ნგრევის, სიკვდილის, არარაობადქცევის პროცესის თავიდან აცილება. ორი საუკუნის მიღწეული, აზრის განვითარება, წარმატებანი მედიცინასა თუ მის მონათესავე მეცნიერებებში ამაო და ამაოა. რამდენ რამეს სძლია ადამიანმა... ამაოა... ეს შემთხვევა, ეს დაავადება უსაშველოა... ამაოა ყველაფერი...

მერე ცრემლები თავისით შეაშრა. გამოფიტული იჯდა.

მატარებელი შეჩერდა. ორიოდე წუთისაც არ მდგარა, საამო რწევით დაიძრა. ბორბლები კვლავ ყრუდ ხმაურობდნენ.

მერე ფანჯარაში გაიხედა და თვალი შეასწრო სადგურის ბრძელ შენობას, ხიდს მიღმა, მდინარის გასწვრივ ელექტროშუქით გაკაშკაშებულ საცხოვრებელ სახლებს.

იმ სახლებში ცხოვრობენ. იმ სახლებში მცხოვრებ უცხო, უცნობ ადამიანებს თავისი საზრუნავი აქვთ, თავისი სიხარული, თავისი ბედნიერება. შეიძლება მწუხარებაც.

მისი დარდი და საზრუნავი მხოლოდ ახლობლებს ხვდებათ გულზე და აღელვებთ... ეს ორნი კი გაცხარებით ლაპარაკობენ.

მძიმედ შეხედა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ქალი მამაკაცის ხნის იქნებოდა. თმა ჰქონდა ღიაფრად შეღებილი და ამიტომ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, სახეც ოსტატურად ჰქონდა შელამაზებული. თუმცა, ამას უფრო მიხვდა, ვიდრე დაბეჯითებით შეამჩნია. პოი, ღმერთო! რა მესაქმება, რა მესაქმება... ქარილელები უნდა იყვნენ. კილოზე ეტყობათ... „კაცო“, „მა რა გითხარი.“ ხაშურში თუ ამოვიდნენ. ან გორში. ეს მატარებელი ხომ შორი დანიშნულებისაა და უკვე მოიარა თვალუნვდენი, დათოვლილი სტეპები... არც ბარგი აქვთ, სხვა მგზავრებივით არ ფუთფუთებენ. სხედან თავისთვის და გაცხარებით ლაპარაკობენ. ჰოი, ღმერთო! რა მესაქმება, რა მესაქმება... სიცოცხლე კი თავისით იჭრებოდა მის გონებაში, მის არსებაში. იჭრებოდა და თავისას მოითხოვდა... თუ თვითონ სურდა თავი დაეხსნა ამ მძიმე მდგომარეობიდან, ამ მძიმე ფიქრებიდან, მძიმე განცდებიდან... ნეტავ, რა მოხდა, ასე რომ ელავენ, და ასე გაცხარებით ლაპარაკობენ. მამაკაცი სასიამოვნო შესახედი იყო. ხმაც ძალზე სასიამოვნო ჰქონდა.

— გადაჭამა, ქვა ქვაზე აღარ დატოვა. ეგ ოხერი მამაძალლი... კაცო, მაინც რა გაუმაძღარი ყოფილა! მაგის მოსულამდე რა ჯურის, რა ყაიდისა არა გვყოლია, მაგრამ ეგრეთი ჯიბიდან გავარდნილი არ გვინახავს. შეჭამა რაიონი. და იმის მაგიერად, რომ პარტიიდან გარიცხონ, დაფერთხონ და სული ამოხადონ, მინისტრის მოადგილედ დანიშნეს.

მხატვარი ნანი შალიკაშვილი

— უკვე დანიშნეს?

— დანიშნავენ, აბა რა... რახან ამბობენ, დანიშნავენ კიდეც...

—არა, მთლად ეგრეც არ არის... მაგის საქმე გათავებული უნდა იყოს.

— მგონია, თვით ავრცელებს ხმას, რომ მინისტრის მოადგილედ ნიშნავენ. ახლა მაგისთანებს მკაცრად მოჰკიდეს ხელი, — თქვა ქალმა.

მამაკაცი ჩაფიქრდა.

— არ ვიცი, არ ვიცი, — ღრმად ამოიოხრა მამაკაცმა. — განა დრო არ არის, განა დრო არ არის?

უცხოთა სამყაროს კარი გაიღო. უცხოთა სამყაროში შეიხედა. მხოლოდ წამიერად. კარი მაშინვე გამოიხურა და უცხოთა სამყარო მისი ცნობიერების ზღურბლს მიღმა დარჩა.

რა აწუხებთ, რა აღელვებთ! რომელიღაც რაიონის ხელმძღვანელი მოუხსნიათ. ან ის უბედური რას ქურდობდა და მამაძაღლობდა, რას გიჟდებოდა ქონებისა თუ ფულისთვის. თან ხომ არ წაიღებს. ან ესენი რას ცხარობენ, რას ცხარობენ! რა მოხდა, პირველი შემთხვევაა? ანდა, როგორ არ უნდა გაცხარდნენ! საქმე საიქიოში ქონების წაღებაზე ხომ არ არის, საქმე სულ სხვაა... პოი, ღმერთო, მე რაღა შუაში ვარ, მე რა მაღელვებს, ვიღაც ვიგინდარა თუ მოხსნეს და სხვაგან გადაჰყავთ. მე რა მესაქმება... როგორ იჯდა მამა... საყვარელი „კეპკა“ თავზე ნამოდო, კი არ ეხურა, სწორედაც წამოდო... რა სევდა, რა ნაღველი, რა სასონარკვეთა ამოიკითხა მის მზერაში... მაშ, იცის... ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. ახლა მის სმენამდე იმ ორის გაცხარებული ლაპარაკი გაბმულ, მომაბეზრებელ ზუზუნად ისმოდა. მამას აღარაფერი ეშველება... აღარაფერი... ამაოება, ამაოება... აღარაფერი...

მატარებელმა სვლას უკლო, სადგურში ნელი რწევით შევიდა და გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲛᲔᲦᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘ

ადამიანის ფაქტორი, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ყოველი საწარმოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი განსაზღვრელია. თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანებაში 1400-მდე ქალი მუშაობს. ისინი მზრუნველობას, ყურადღებას საჭიროებენ და, ბუნებრივია, ეს პრობლემა მწვავედ დგას ხელმძღვანელობის წინაშე.

გაერთიანება ყველაზე მომგებიანი წარმოებაა მსუბუქ მრეწველობაში. აქ ამზადებენ ქალის ელასტიურ „ᲙᲝᲚᲒᲝᲢᲙᲔᲑᲘ“, წინდებსა და ნახევარწინდებს, ბავშვის რეიტუზებს, კაცის შალისა და ბამბის წინდებს. ზრუნავენ ასორტიმენტის მრავალფეროვნებაზე. ყოველწლიურად პროდუქციის 32-34 პროცენტს განახლებული სახით უშვებენ, რაც საკვაშრო მეჩვენებელზე მაღალია.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲐᲖᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — გაერთიანების პარტორგანიზაციის მდივანი: —საწარმოს ქალები შრომითი თუ საყოფაცხოვრებო პირობებით, ძირითადად კმაყოფილები არიან. ამის მიუხედავად, გვაქვს პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად მხოლოდ ჩვენი ძალებით ვერას გავხდებით.

საწარმოში რვასაათიანი სამუშაო დღეა. მართალია, ხელით შრომის წილი 45 პროცენტს შეადგენს, მაგრამ სამუშაო დიდ ფიზიკურ დატვირთვას არ მოითხოვს. სათაო ფაბრიკაში ყველაზე რთულ უბანს საქსოვი საამქრო წარმოადგენს, სადაც ზამთარ-ზაფხულ მუდმივი ტემპერატურა 45 გრადუსს აღემატება. სამი წელინადია შეძენილი გვაქვს სამაცივრო დანადგარი, მაგრამ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტრესტმა დანადგარისათვის შენობის აგება დიდხანს გააჭიანურა. ეს საკითხი ახლახან, როგორც იქნა, ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა. დანადგარი მალე ამოქმედდება, რაც საგრძნობლად გაუმჯობესებს საქსოვ საამქროში მუშაობისათვის შექმნილ მძიმე პირობებს.

ᲜᲐᲜᲐ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ — ადგილკომის თავმჯდომარე: — უპირველესად ვცდილობთ ისეთი საჭირბოროტო საკითხები გადავჭრათ, რომლებიც განსაკუთრებით აწუხებთ ჩვენს მუშა-მოსამსახურეებს.

შრომისა და ომის ვეტერანებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სასადილოში უფასო კვება დავაწესეთ.

300 კვადრატულ მეტრ ფართობზე გაშენებული გვაქვს სათბური. იქ მოყვანილი კიტრი უფასოდ ეძლევა საბავშვო ბაღს, იყიდება თანამშრომლებზე.

საბავშვო ბაღთან დაკავშირებით ერთ მტკივნეულ საკითხს მინდა შევეხო. ახლანდელი შენობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ერთსართულიანი ნაგებობა უკვე მოძველებულია. ახალი, არატიპიური ბაღის ასაშენებლად გაერთიანების ადმინისტრაციამ გამოყო სათანადო თანხა, ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილიც გამოთავისუფლდა, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა რატომღაც თავს იკავებს ნაკვეთის დაგეგმარებისაგან.

გვაქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, სადაც ხშირად იმართება შეჯიბრებები. სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებში, მოძმე რესპუბლიკების ქალაქებში.

კარგად მარაგდება ნახევარფაბრიკატების მაღაზია. მუშათა მოთხოვნების საფუძველზე გაერთიანებაში მალე ქიმწმენდის, სამრეცხაოსა და ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვის ობიექტები გაიხსნება. მალე ამოქმედდება კეთილძოწყობილი ფინური აბანო.

სამღებრო და საქსოვ საამქროებში ქალები ფეხზე მდგარნი მუშაობენ. მათთვის გაიხსნება განტვირთვის ოთახი, სადაც ვლადიმირის ფაბრიკის მსგავსად დამონტაჟდება სხვადასხვა მასაჟორები და შხაპები.

— ალბათ თქვენს საწარმოშიც არის ისეთი ე. წ. „მტკივნეული“, გადაუჭრელი პრობლემები, რომლებიც წლების მანძილზე „მემკვიდრეობად“ გადაეცემა გაერთიანების ადმინისტრაციას.

ᲜᲐᲜᲐ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ: — მუშა-მოსამსახურეებისაგან თუ მოვითხოვთ საქმიანობის მაქსიმუმს, მათაც ნორმალური პირობები უნდა შევუქმნათ შრომისა და ცხოვრებისათვის.

ფაბრიკის არსებობის 33 წლის მანძილზე თანამშრომლებისათვის ერთი საუნყებო სახლი ძლივს ავაშენეთ. საჭირო თანხა გვაქვს, მხოლოდ ნებართვას და ადგილს გამოყოფას ვითხოვთ.

ვის არ მიემართეთ თხოვნით — მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, პარტიის რაიკომს, რაისაბჭოს აღმასკომს, რომ რეზინო-ტექნიკური ქარხნის ფილიალის ტერიტორია ჩვენთვის გადმოეცათ, მაგრამ ამაოდ.

ბინათმშენებლობის საკითხთან დაკავშირებით გაერთიანების ყველა კრებას ესწრებიან რაისაბჭოს აღმასკომისა თუ პარტიის რაიკომის წარმომადგენლები, ვითხოვთ დახმარებას. ჩვენი სატკივარი და გასაჭირიც ხომ უნდა მიიტანონ გულთან. მაგრამ გარკვეულ პასუხს დღემდე ვერ ვეღირსეთ.

მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე მშენებლობის დარგში ი. მეგაბდე გვპირდება, რომ ფონიჭალაში აშენებული კორპუსიდან გამოგვიყოფენ ბინებს, მაგრამ ჯერჯერობით ესეც მხოლოდ მომავლის იმედია.

—იმის გარდა, რომ გაერთიანებაში თითქმის მხოლოდ ქალები მუშაობენ, პროდუქციის ჯირითადი მომხმარებელიც საკმაოდ გემოვნებიანი ქალია. ამბობენ, ცოდვა გამხელილი ჯობიაო... დღესაც ხშირად გაისმის საყვედურები თქვენი პროდუქციის ხარისხის გამო.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐ — გაერთიანების გენერალური დირექტორი: — ორი წელინადია სამეურნეო ანგარიშზე გადავედით და ბევრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ხარისხიც შესამჩნევად გაუმჯობესდა. საყვედურების რიცხვმა საგრძნობლად იკლო. შარშანდელი მონაცემების მიხედვით რეკლამაციებისა და ჯარიმების რაოდენობა 50 პროცენტით შემცირდა.

პროდუქციის უხარისხობა ძირითადად მანქანა-დანადგარების გაუმართაობის შედეგია. წლეულს ნაწილობრივ ამუშავდა ახალი საამქრო, რომელიც მთლიანად თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი. მალე ყველა უბანი ამოქმედდება და, რა თქმა უნდა, მეტ სიკეთესაც ველოდებით. თუმცა მაინცდამაინც მანქანა-დანადგარების იმედზეც ვერ ვიქნებით, რადგან დამხმარე ნაწილები ხშირად ცვდება. საზღვარგარეთულ დანადგარზე სამამულო ნარმოების ნემსი რომ გავუკეთოთო, პროდუქციის ხარისხი შესამჩნევად უარესდება. ამის გარდა, 1989 წელი გაცდენებით დავიწყეთ. გაერთიანებაში ელასტიკის ძაფის დიდი ნაწილი იაპონიიდან, იუგოსლავიიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან შემოდის. ხშირად, ტრანსპორტის მიზეზით ნედლეულს დაგვიანებით ვიღებთ, რის გამოც წარმოება ფერხდება. შემდეგ, გვინევს იერიშობანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოია კობაძე

ნანა ექვთიმიშვილი

დამატებითი მუშაობა, რაც უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზეც და მუშის განწყობაზეც.

— ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა კოოპერაციული საქმიანობა. მაღაზიის დახლებზე მრავალად აწყვია კოოპერატივების მიერ დამზადებული ქალის კოლგოტები, კაცის წინდები, ბავშვის რეიტუზები. თქვენს საწარმოს კონკურენტები ხომ არ გამოუჩნდნენ?

ძეთევან აზარიაშვილი: — ქალაქში ჩვენი პროფილის ბევრი კოოპერატივი გაიხსნა, მაგრამ საფრთხე მაინც არ გვემუქრება. გაერთიანებას გეგმის შესრულებისა და ხარისხის მხრივაც დიდი პერსპექტივები აქვს. თუმცა, ერთი სიძნელის წინაშე მაინც აღმოჩენდით. კოოპერატივებმა ჩვენი ქვეოსტატები მიიზიდეს, რომელთა ყოველთვიური გამომუშავება ათას მანეთამდეა. საწარმოდან გამოცდილი მუშების წასვლამ გარკვეული დაბრკოლებები შეგვიქმნა მუშაობაში.

— კოოპერატივებმა საქონლის დეფიციტი შეამცირეს, მაგრამ მომხმარებელთა უმრავლესობა მაინც უკმაყოფილოა. მოგეხსენებათ, კოოპერატივების პროდუქცია საკმაოდ ძვირია. ფაბრიკის ნაწარმს კი მომხმარებელი ამაოდ ეძებს მაღაზიის დახლებზე...

ზურაბ მეაზავა: — გაერთიანება ყოველწლიურად 60 მილიონამდე მანეთის ნაწარმს უშვებს. პროდუქციის ნახევარზე მეტი მოკავშირე რესპუბლიკებში იგზავნება, რის შედეგადაც ხელოვნური დეფიციტი იქმნება. თითოეული ჩვენგანი მეტი პასუხისმგებლობით რომ ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას, მომხმარებელიც კმაყოფილი გვეყოლება და შიდასაწარმოო პრობლემებიც ნაკლებად იჩენს თავს.

ფაბრიკაში საქმიანი ვითარება სუფევს. ახალ, ნათელ დარბაზში გაიმართება საქსოვი, სამკერვალო, სამლებრო, დამხარისხებელი საამქროები. წარმოების ერთიანი, უწყვეტი ციკლი კიდევ უფრო გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. გუგუნებენ თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარები. გაორკეცებული ენერგიითა და მონდომებით შრომობენ მქსოველები და დამხარისხებლები: ლამარა ლელუაშვილი, დინარა ბულგადაროვა, ელზა ანახჩიანი, გიული გოშაძე, მაია ჯოჯუა, ნანა ექვთიმიშვილი, ნატო მაჭავარიანი, ეკა გალდავა და მრავალი სხვა. გაერთიანებაში იმდენი მონინავეა, რომ შეუძლებელიც არის მათი ჩამოთვლა. როგორც ისინი ამბობენ, ახალ საამქროებში მუშაობა სახალისოა.

როცა შრომით კოლექტივში ენთუზიაზმი და საქმის სიყვარულია, გაერთიანების მესვეურთა იმედიანი დაპირებებიც სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ.

მარინე ნაკაიძე

წამალთან ხუმრობა არ შეიძლება

„რაც შეიძლება სწრაფად და ამასთან ყველგან უნდა დავაკმაყოფილოთ მაღალი ხარისხის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სამკურნალწამლო დახმარებაზე მოსახლეობის მოთხოვნილება“.

მ. ს. გორბაჩოვი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების კეთილშობილურ საქმეში განსაკუთრებული ადგილი ფარმაცევტულ დარგს განეკუთვნება.

ადამიანის ჯანმრთელობა ბევრად არის დამოკიდებული აფთიაქის ოპერატიულ და პუნქტუალურ მუშაობაზე.

წამლის დამზადების რთული და ზუსტი ტექნოლოგიური პროცესების შესრულებისას ერთეულმა დარღვევა-გაუგებრობამ შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ფარმაცევტთა დიდი არმიის მეტად საპატიო სამსახურს, რადგან ეს გარემოება მოსახლეობაში აღძრავს უნდობლობას აფთიაქის მუშაკთა მუშაობისადმი. წამლის განმკურნავი მოქმედება მაშინ ძლიერდება, როდესაც ავადმყოფს წამლის რწმენა და მისადმი დადებითი განწყობა აქვს. განწყობა კი მკურნალობის ეფექტის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

დღევანდელ სიტუაციაში აფთიაქის მუშაობის ერთ-ერთ ნაკლად მიგვაჩნია ზოგიერთი მედიკამენტის დეფიციტი, მართალია, მისი სრულფასოვანი შეცვლა ნამდვილად შეგვიძლია ადეკვატური მედიკამენტით, მაგრამ გვხვდება არა ერთეული შემთხვევა, როცა ზოგიერთი სპეციალისტი დაუინებით მოითხოვს გამმწერილ პრეპარატს და კატეგორიულად აცხადებს უარს შეცვლაზე. ეს გაუმართლებელია, რადგან ამ დროს ავადმყოფი იძულებულია დასაგმობი გზით იშოვოს დეფიციტური მედიკამენტი.

ანალოგიურ შედეგამდე მივყავართ სხვა გარემოებასაც, ხშირად სრულყოფილ გაუმჯობესებულ პრეპარატებს წინანდელისაგან განსხვავებით ახალი სახელწოდებებით უშვებენ, მაგრამ ზოგიერთი სპეციალისტი, რომელიც სამწუხაროდ, ნაკლებად ეცნობა ახალ ლიტერატურას, მათი გამოწერისაგან თავს იკავებს, და აგრძელებს უკვე ამოღებულ, მოძველებულ და ნაკლებეფექტიანი პრეპარატების გამოწერას.

ხდება პირიქითაც: ხმარებაში ახლად შემოსული და კლინიკებში პრაქტიკულად ჯერ კიდევ საფუძვლიანად შეუსწავლელი უცხოური პრეპარატების მასობრივად დანიშვნა, რაც ყოველთვის კარგი შედეგით არ მთავრდება.

ყოვლად გაუმართლებელია მრავალი სახის მედიკამენტისა და გადატვირთული შემადგენლობის (რომელთა კომპონენტების ქიმიურ შემადგენლობათა რთულ ურთიერთრეაქციებში შესვლით პრაქტიკულად ძნელდება მიღებულ მოქმედ ნივთიერებათა საწყისების ზუსტად დადგენა) სამკურნალწამლო ნაკვთას ერთდროულად დანიშვნა-მიღება. წამლის ხმარებისადმი გაუმართლებელი მიდრეკილება, სამწუხაროდ, შეინიშნება იმ მოქალაქეებში, რომლებსაც წამლის უფასოდ ან შეღავათიან ფასებში მიღების უფლება აქვთ.

დღეისათვის თითქმის არ არსებობს ისეთი მედიკამენტი, რომელიც არ იწვევდეს მოსალოდნელ გვერდით მოვლენებს, წამლის არასწორმა დანიშვნამ და გაუმართლებელმა, ან-და გახანგრძლივებულმა ხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს წამლისმიერი დაავადება.

საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებებში ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის წამლისმიერ პათოლოგიაზე დაახლოებით 16 პროცენტი მოდის, რაც დამაფიქრებელია. წამლისმიერი დაავადება რიგ შემთხვევაში იწვევს ძირითადი დაავადების მიმართულების შეცვლას, მის გახანგრძლივებას, ან ახალი, მეორე დაავადების წარმოქმნას.

ყოველმხრივ უნდა დავგმოთ მკურნალი ექიმის დანიშნულების გარეშე მოსახლეობის თვითმკურნალობა, რაც მეცნიერულად გაუმართლებელია. ზოგიერთ ოჯახში, ვინც უსაფუძვლოდ იმარაგებს წამლებს, უნდა ახსოვდეთ, რომ ხმარების ვადის გასვლის შემდეგ წამალი უფასურდება და გადასაყრელი ხდება.

საქართველოს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს რესპუბლიკურმა საკონტროლოანალიზურმა სააფთიაქო ლაბორატორიამ მთლიანად უნდა აგოს პასუხი რესპუბლიკის სააფთიაქო ჭსელიდან გამოსულ სამკურნალწამლო ნაკვთას ხარისხზე.

პროვიზორ-ფარმაცევტთა შრომა ძალზე რთული, შრომატევადი და პასუხსაგებია. ამიტომ, როდესაც ახალგაზრდა ამ პროფესიას ირჩევს სამოღვაწეოდ, საჭიროა იცოდეს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საპატიო საქმეს პუნქტუალურად და ერთგულად უნდა ემსახუროს.

ლეო ბიგვავა,
საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი.

კარგი მაგალითი

დილმის მასივში, ოროთახიან ბინაში ცხოვრობს გულნარა და ნოდარ ტალიაშვილების შვილმრავალი ოჯახი. აქ თერმეტი მშვენიერი ასული ეზრდება საქართველოს. უფროსი 14 წლისაა, ხოლო უმცროსი — ნატო, მხოლოდ ორი თვისა.

და აი, სულ ახლახან პატარა ნატო სავაჭრო საცალო ფირმა „ბავშვთა სამყაროს“ კოლექტივის სრულუფლებიანი წევრი გახდა — გოგონა ყოველთვიურად მიიღებს ხელფასს 120-130 მანეთის ოდენობით.

„ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი ლია მაჩაიძე: „პირველი მაისის ქალთა საბჭოს წინადადებით ტალიაშვილების ოჯახის დასახმარებლად ჩვენმა კოლექტივმა მათი შეფობა იკისრა. ვეწვიეთ შინ, ბავშვებისათვის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და 1000 მანეთი ფულიც წავიღეთ. თან გვახლდნენ პირველი მაისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე დალი ბალამწარიშვილი და საკონდიტრო ფაბრიკის წარმომადგენლები. ტაბლეულით დატვირთულნი.

უნდა გითხრათ, რომ მათთან სტუმრობამ გაგვაოცა და აღგვაფრთოვანა. გაგვაოცა, იმიტომ, რომ ასეთ სივიწროვეში ამდენი ხანი ცხოვრობს ეს ოჯახი და აქამდე არავითარი დახმარება არ ჰქონიათ (ბინაში მხოლოდ საწოლები იდგა, სხვა კი არაფერი); მადლობა ღმერთს, ახლა დიდ დიღმეში მალე მიიღებენ ფართო ბინას. მგონი მთელ სართულს უთმობენ... გაგვაოცა გოგონების სილამაზემ, მათმა წესიერებამ და საერთოდ იმ სიფაქიზემ, და სიხალისემ, რაც ამ ოჯახში იგრძნობა. დარწმუნებული ვარ, თერმეტივე უკლებლივ ნამდვილ მამულიშვილად გაიზრდება“.

თვითონ ქალბატონი ლია მრავალშვილიან ოჯახშია გაზრდილი და მისთვის უცხო არ არის გაჭირვება; ამიტომაც ყოველთვის გულიანად ეხმარება ასეთ მართლა მოსაფერებელ დედებს. ვინც ლია მაჩაიძეს პირადად გასცნობია და დახმარება უთხოვია, ყველა კმაყოფილი დარჩენილა — „ბავშვთა სამყაროში“ მათი პატარებისათვის ყოველთვის საუკეთესო ხარისხის საქონელი შეურჩევიათ.

მალე პატარების უნივერმაღში მატერიალური წახალისების ფონდი შეიქმნება და კოლექტივის ყოველი წევრი, რომელიც მესამე შვილს იყოლიებს, 1000 მანეთს მიიღებს საჩუქრად.

მ. ზარიძე

მიხეილ მჭედლიშვილი,
პროფესორი.

პესტიციდები განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისათვის

პესტიციდები უარყოფით გავლენას ახდენს მოზრდილ ადამიანებზე და მოზარდებზეც, მაგრამ ბავშვი გაცილებით მეტად არის მათ მიმართ მგრძნობიარე, რადგან ზრდის პროცესში მყოფ ორგანიზმს ყოველგვარი მავნე ფაქტორების მიმართ შედარებით ნაკლები ნინააღმდეგობის განევის უნარი აქვს.

რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მეტ ზიანს აყენებს მას ყოველგვარი მომწამლავი ნივთიერება. თუ მოზრდილთათვის ტოქსიკურია დღე-ღამეში 600 მგ ნიტრატი, ჩვილისათვის ეს დოზა 10 მგ-ს შეადგენს. ამიტომ საკვებ პროდუქტებში ბავშვისათვის ნორმით დაშვებული მათი ზღვრული დოზა მოზრდილებისაზე 15-ჯერ ნაკლებია.

არსებობს მზარდი ორგანიზმის მეორე თავისებურებაც: პირველ რიგში ის სისტემა, ის ორგანო ზიანდება, რომელიც ინტენსიურ ზრდას და დიფერენციაციას განიცდის და ყველაზე მეტი ინტენსიობით უნდება მუშაობა. ასეთი კი ჩვილობის ასაკში ნერვული სისტემა — თავის ტვინია.

თუ რა გამოუსწორებელი და ტრაგიკული შედეგი შეიძლება მოჰყვეს მოზარდის ტვინის დაზიანებას, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამიტომ არის, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბავშვთა კვების პროდუქტებისათვის არჩევენ უმაღლესი ხარისხის ნედლეულს, რომელიც მოყვანილია სპეციალურად გამოყოფილ ნაკვეთებზე, სადაც არ არის გამოყენებული მინერალური სასუქი და შხამქიმიკატები. შექმნილია განსაკუთრებული ფერმები საუკეთესო ჯიშის ძროხებისათვის, რომლებიც იკვებებიან სამანქანო გზებისაგან მოშორებით, ბუნებრივ საძოვრებზე.

ჩვენთან ამ მხრივ პირველი ნაბიჯები იდგმება. დამტკიცებულია პროექტი, რომ 1989 წელს შეიქმნას სამეცნიერო-სანარმოო გაერთიანება „ბავშვთა კვება“. იგი გამოუშვებს თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაკონსერვებულ და მშრალ ნარევებს. ხოლო იმ სანარმოში, სადაც ბავშვთა პროდუქტები დამზადდება, ინარმოებს სახელმნიფო მიღება.

არსებობს მთავრობის სხვა გადაწყვეტილებებიც, მაგალითად, ჩვილი ასაკის ბავშვისათვის ბრინჯი უნდა მოვიყვანოთ პესტიციდების გამოუყენებლად.

როგორც ცნობილია, ბავშვი თავისი მასის ყოველ კილოგრამ წონაზე მეტ საკვებს იღებს, ვიდრე ზრდადასრულებული ადამიანი. პროდუქტის რაოდენობა კი, მაგ. რძე, ბოსტნეული, ხილი 2-3-ჯერ და მეტად აღემატება იმ რაოდენობას, რომელსაც მოზრდილი იღებს სხეულის მასის კილოგრამ წონაზე. ასეთ პირობებში თანაბარი რაოდენობის პესტიციდების შემცველი პროდუქტების მიღებისას ბავშვი იღებს 3-4-ჯერ მეტ ქიმიურ ნივთიერებას, ვიდრე მოზრდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პესტიციდებისადმი ყველაზე მგრძნობიარე და სუსტი არსება გაცილებით ნაკლებად არის დაცული მისგან. საქმე ის არის, რომ ბავშვის ორგანიზმში პესტიციდები შეიძლება მოხვდეს ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში, პლაცენტის საშუალებით, დაბადების შემდეგ კი — დედის რძით, ოღონდ იმ რაოდენობით კი არა, რამდენიც დედის ორგანიზმშია, არამედ 12-15-ჯერ მეტი, რადგანაც, როგორც პლაცენტაში, ისე დედის რძეში, კონცენტრირდება ყველა ის ქიმიური ნივთიერება, რომელიც ქალის ორგანიზმში ხვდება როგორც საკვებთან, წყალთან და ჰაერთან ერთად, ისე კანის საშუალებით.

ასეთ პირობებში, ბავშვის დაცვა პესტიციდებისაგან ორსული ქალის—დედის დაცვასაც გულისხმობს.

ღონისძიებები, რომელთა ძიზახია უპესტიციდებო საკვები პროდუქტებით — პირველ რიგში კი ბოსტნეულითა და ხილით ჩვილი ბავშვების უზრუნველყოფა, ძალზე ნელი ტემპით ხორციელდება, „გრძელ მანეთს“ დახარბებულ ზოგიერთ კერძო მეურნესა და გეგმას გამოდევნებულ სოფლის მეურნეობის მუშაკს არაფრად მიაჩნია ეკოლოგიური სიტუაცია თუ ადამიანების ჯანმრთელობა. ისინი უხეშად არღვევენ შხამ-ქიმიკატების გამოყენების წესებს, რის შედეგადაც პროდუქტებში მათი შემცველობა მნიშვნელოვნად აღემატება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ, არაიშვიათად ისედაც მაღალ ნორმებს.

როგორ მოვიქცეთ, არ მივცეთ ბავშვებს მათთვის ესოდენ აუცილებელი ხილი და ბოსტნეული? როგორ შევასრულოთ ექიმის რჩევა 2-3 თვიანი ბავშვისათვის ხილისა და ბოსტნეულის წვენების მიცემის თაობაზე?

ცხადია, ყველაზე უკეთესია ბავშვს ისეთი ხილი და ბოსტნეული მივცეთ, რომელიც უპესტიციდებოდ არის მოყვანილი. ეს შეიძლება განხორციელდეს საბაღე-საბოსტნე ამხანაგობისა და საკარმიდამო ნაკვეთებზე. არსებული წესით, გასაყიდ პროდუქტებს უნდა ახლდეს სერტიფიკატი, რომელზედაც აღნიშნული იქნება ნიტრატების რაოდენობის შემცველობა: მაგ. ნესვსა და საზამთროში ამ მარილების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 45 მგ/კგ-ში, კიტრში — 150, პამიდორში — 60, კომბოსტოში — 300, ჭარხალში—1400 მგ-ს და ა. შ. უკიდურეს შემთხვევაში პროდუქტებში პესტიციდების შემცირება შეიძლება მათი დამუშავებითაც.

ხილსა და ბოსტნეულში ქიმიური ნივთიერებების რაოდენობის შესამცირებლად საჭიროა დიდი ხნის განმავლობაში (10-15 წუთი) ვრეცხოთ იგი გამდინარე ცივ წყალში.

რადგანაც პესტიციდების ყველაზე მეტ რაოდენობას ბოსტნეულისა და ხილის კანი და მასთან მიმდებარე ნაწილი შეიცავს, საჭიროა სქლად გავთალოთ იგი. ხეხიანპიურეს დამზადებისას კი, იმის გარდა, რომ დიდხანს ჭირდება ბოსტნეულს რეცხვა გამდინარე ცივ წყალში, თერმული დამუშავების დროს უნდა წამოვადუღოთ და პირველი წყალი გადაღვაროთ, დავასხათ მეორე წყალი და საბოლოოდ მეორე წყალში მოვხარშოთ. ასეთი დამუშავების დროს, ცხადია, ნაწილობრივ მცირდება საკვებში ვიტამინების რაოდენობა, განსაკუთრებით „C“ ვიტამინის რაოდენობა, მაგრამ ამის კომპენსაცია შეიძლება გამზადებულ საკვებში 50-100 მგ ასკორბინის მჟავას ვიტამინის დამატებით. სხვათა შორის, „C“ ვიტამინის დამატება მიზანშეწონილია იმიტომაც, რომ იგი ხელს უშლის პესტიციდებში შემავალი ნიტრატების გადასვლას უფრო ტოქსიკური მოქმედების ნივთიერებაში — ნიტრიტებში. ე. ი. ვიტამინ „C“-ს აქვს პესტიციდებისაგან ერთგვარი დაცვის უნარი.

თუ არა ვართ დარწმუნებული, რომ ბოსტნეული უპესტიციდებოდ არის მოყვანილი, თავი უნდა შეეიკავოთ და ბოსტნეულის უმი წვენი ბავშვს არ უნდა მივცეთ.

იმის გამო, რომ პესტიციდებისა და მათი დაშლის პროდუქტების გარკვეული რაოდენობა წყალშიც ხვდება, ჩვილ ბავშვს ანადუღარი წყალი უნდა ვასვათ. ყველა ეს ღონისძიება ნახევარღონისძიებაა, მთავარი კი მაინც ის არის, რომ შეიქმნას სპეციალური მეურნეობები, სადაც მოყვანილი იქნება ჩვილი ბავშვებისათვის საჭირო ბოსტნეული, კარტოფილი თუ ბურღულეული. ასევე უნდა გვქონდეს სპეციალური ფერმები, სადაც მეწველი საქონელი უზრუნველყოფილი იქნება ისეთი საძოვრებით და საკვებით, რომლებიც გამორიცხავს რძეში პესტიციდების არსებობას.

ნამცხვრები

„დათუნია“

1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილისა და 4 კვერცხის გულისაგან (ცილა შევინახოთ) გავაკეთოთ გოგლიმოგლი, დავუმატოთ 1 ქილა (200 გრ) არაყანი, 200 გრ კარაქი, 1 სუფრის კოვზ ღვინის ძმარში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა, დანის წვერით — ვანილი, 3 ჩაის ჭიქა გაცრილი უმაღლესი ხარისხის ჟურის ფქვილი. მოვზილოთ ცომი და გაზქურის ტაფაზე გამოვაცხოთ ორ ცალად.

ავთქვიფოთ 4 კვერცხის ცილა, ნელ-ნელა მივუმატოთ 1 ჩაის ჭიქა შაქარი. მიღებული მასა ცალ-ცალკე ნავუსვამ გამომცხვარ ბისკვიტებს, მერე ერთმანეთზე დავადოთ და 2-3 წუთით შევდგამ გაზქურაში, გამოღებისთანავე ნავუსვამ წინა ნომერში მოცემული წესით დამზადებული მინანქარი. ვიდრე მინანქარს ნავუსვამდეთ შეგიძლიათ მოაყაროთ ნვრილად დაჭრილი მოხალული 1/2 ჩაის ჭიქა ნიგოზი.

„იდეალი“

6 ცალი კვერცხისა (ცილიან-გულიანად) და 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილისაგან გავაკეთოთ გოგლიმოგლი, დავუმატოთ 2 სუფრის კოვზი თაფლი, ნახევარი ჩაის კოვზი საჭმლის სოდა, 1 ჩაის ჭიქა ხორცის საკეპ მანქანაში გატარებული ნიგოზი, 3 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი (გაცრილი). მოვზილოთ ცომი, გავყოთ ორ ტოლ ნაწილად და ცალ-ცალკე გამოვაცხოთ გაზქურის ტაფაზე.

კრემი:

2 ქილა შედედებული რძე 2-3 საათს ვადუღოთ წყლიან ქვაბში. როცა კარგად გაცივდება, გავხსნათ, გადმოვიღოთ ჯამზე, შევურიოთ 200 გრ კარაქი, დანის წვერით — ვანილი, 1 ჩაის ჭიქა ხორცისსაკეპ მანქანაში გატარებული ნიგოზი და კარგად ავურიოთ. მიღებული კრემი ცალ-ცალკე ნავუსვამ ორივე ფენას. ერთმანეთზე მოვათავსოთ, ბოლო ფენას კრემის ზემოდან მოვაყაროთ ნაპირებიდან ჩამოჭაჭრების ნაფხვენები.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 5.05.89 წ. ეურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.06.89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8, ტირაჟი 171.000. შეკვ. 1093. უე 07862. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58. ფასი 30 კაპ.

ბავშვთა კოდა

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ 1989 წლის № 4 21-ე გვერდზე მოთავსებული ცხრილი „რა როდის მივცეთ ბავშვს“ უნდა შეიცვალოს ასეთი ცხრილით.

რა როდის მივცეთ ბავშვს

ასაკი	მე-3 კვირა	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	7 თვე	8 თვე	9 თვე	10 თვე	11 თვე	12 თვე
ხილის წვენი	5 წვეთი 15 მლ	30 მლ	30	40—50	50	50	50	50	50	50	50	50
ვაშლის პიურე		5—10 გრ	30	40	50	50	50	50	50	50	50	50
კვერცხის გული			1/4	1/4	1/2	1/2	1/2	1/2	1/2	1/2	1/2	1/2
ხაჭო				5—20 გრ	30	40	40	40	40	50	50	50
ბოსტნეული პიურე				60—80 გრ	130	130	150	150	160	160	160	160
მცენარეული ზეთი				1—3 გრ	3	3	3	5	5	6	6	6
ფაფეული					60—130 გრ	150	160	180	180	180	200	200
კარაქი					1—4 გრ	4	4	5	5	6	6	6
ბულიონი							30 მლ	50	50	50	50	50
ორცხობილა							5 გრ	5	5	5	5	5
პური							5 გრ	5	5	10	10	10
ხორცი								20 გრ	20	20	30	30
								ხორცის პიურე			გ უ ფ თ ი	
ნამცხვარი							20 გრ	20	20	20	30	30
კვებათა რაოდენობა	6—7	6	6	6—5	5	5	5	5	5	5	5	5

ინდექსი 76178

6257/88

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ივნისი — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ფასი 30 კაპ.